გაითვალისწინონ გაზეთის შემოქმედებითი ორიენტაციები და ნაშრომები მიუძღვნან ამ თემატიკას და არა საკუთარი ოჯახის წევრებისადმი ლექსების მიძღვნასა და სხვა უინტერესო თემატიკას. თვალშისაცემია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორის მიერ მოწოდებული მასალა არის ლიტერატურულად და აზრობრივად იმდენად გაუმართავი, რომ მისი ნორმალურ საგაზეთო სტანდარტში მოქცევა არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ეს ავტორები დიდი პრეტენზიას აცხადებენ და მათ მიერ მოწოდებული უსუსური წერილის დაუბეჭდაობას ჩვენს პირად ანტიისმპათიებს აბრალებენ და ადამიანის უფლების დარღვევად გვითვლიან. ამჯერად თავს ვიკავებთ ამ ავტორთა ვინაობის დასახელებისაგან, მაგრამ, თუ ძალიან შეგვაწუხებენ, მომავალში ალბათ მოგვიწვევს მათი სახელ-გვარების გამოთხიერება.

ამრიგად, არც თუ მაღალი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ავტორებს ვურჩევთ, რომ თავიანთი ნაწერები წააკითხონ კვალიფიციურ ლიტერატორებსა და პუბლიცისტებს. ასევე, შეგახსენებთ, რომ რედაქციაში საგაზეთო წერილები უნდა გადმოუგზავნოთ კომპიუტერში WORD-ის ფაილში აწყობით, ლაზერის დისკით, ან ელექტრონული ფოსტით. ყველა სხვა შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით უარი ვთქვათ ავტორებთან თანამშრომლობაზე.

ასევე შეგახსენებთ, რომ დაწუნებული ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ, რაც საცხებით გასაგებადაა განმარტებული გაზეთის ბოლო გვერდზე.

პატივისცემით,
როლანდ ჯალაღანიძე,
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

ლოლობრიჯილამ თქვა: "ბედნიერი ვარ, რომ იმ ხელს ვპოვნე, რომელმაც "ჯარისკაცის მამა" გაღაილო!"



"როდესაც ფილმის სიუჟეტი მოგუყვავი, სერგო ზაქარიასი ატირდა"

"ჯარისკაცის მამამ" ქართულ კინემატოგრაფიაში ეპოქა შექმნა. ფილმის გადაღებიდან 50 წელი შესრულდა. დამდგმელ რეჟისორს, ბატონ რეზო ჩხეიძეს ვთხოვეთ, ფილმზე მუშაობა გაესხენებინა: – "ჯარისკაცის მამაზე" მუშაობის დაწყებამდე ვიღებდი ფილმს "ზღვის ბილიკი", რომელშიც მთავარ როლს სერგო ზაქარიასი თამაშობდა... ერთ დღეს კინოსტუდიის ეზოში სულიკო ქვინტი შემხვდა, – ბათუმში მივდივარ, მატარებელზე არ დამაგვიანდესო და გრანგილი მომწვინდა, – წაიკითხო.

შინ მიმავალმა ტროლეიბუსში დავიწვე კითხვა. ისე გამიტაცა, რომ სამ წრეზე გავეყვი ტროლეიბუსს.

ბოლოს, მძღოლმა მკითხრა, – არ ჩაიბნარო? დავუთქე სულიკოს ბათუმში, როდის ჩამოხვალ, სცენარზე უნდა დავიწყოთ მუშაობა-მეთქი. სულიკო თავად

ადმოვანინეთ ხეები, რომლის ფოთლები წააგავს ვახისას, დავამტვრიეთ ტოტები, დავახვიეთ სარებზე და ისე გადავიღეთ. არავინ დაეჭვებულა, რომ ეს ვენახი არ იყო.

– ფილმს ეკრანზე გამოსვლისას პრობლემები ხომ არ შეექმნა?
– წესი იყო: დასრულებული სურათი მოსკოვში უნდა ჩავებარებინა. ჩავიტანეთ მოსკოვში. 31 დეკემბერია. სამსახურში მხოლოდ კინემატოგრაფიის მინისტრია ცოლით. დასხდნენ საყურებლად. მინისტრი მეუბნება: – ამ ფილმს ვერ გავუშვებთ. არ შეიძლება ლეიტენანტი გალახოს ჯარისკაცმა, ეს საბჭოთა არმიის წესდება ეწინააღმდეგება... გავიდა ერთი კვირა. გვირეკავენ უშიშროების სამინისტროდან – ფილმის ნახვა გვინდაო (იმ ერთ კვირაში რა მოხდა, დღემდე არ ვიცი). მოვიდა 13-14 გენერალი და ცივად მოგვესალმა. დაიწყო ჩვენება. ვხედავ, გამხიარულდნენ, განსაკუთრებით მოსწონდათ სერგოს დამტვრეული რუსული. შუა ჩვენებისას ერთმა მოგვხვდა და მაღლა აწეული ცერი გვაჩვენა. დასრულდა ჩვენება და მოვიდა სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ეპიშევი და მომილოცა...

შემდეგ ბრუნებმა სერგო ზაქარიასი ლენინის პრემიით დაჯილდოვა, რაც იმ დროს უმაღლესი ჯილდო იყო. მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ბატონ სერგოს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პირველი პრიზი ერგო.

როდესაც სერგო გარდაიცვალა, გერმანიის თითქმის ყველა კინოთეატრში ეს ფილმი გადიოდა ეკრანებზე. ერთ-ერთ ფესტივალზე,

იტალიელ ვარსკვლავს, ჯინა ლოლობრიჯილას შეხვდი. ხელზე მაკოცა და მითხრა: ბედნიერი ვარ, რომ იმ ხელს ვპოვნე, რომელმაც "ჯარისკაცის მამა" გაღაილო.

P.S. ცოტა ხნის წინ ამერიკელების დახმარებით ფილმის ფერადი ვერსია გამოვიდა... ქართველ მაყურებელს კი არ ავიწყდება "ჯარისკაცის მამა".

უკვლავთა თაღში" რეზო ჩხეიძის ხელის ანაბეჭდი ბაიხსნა

ხელოვნების სასახლეში, "უკვლავთა თაღში" დიდი კინორეჟისორის, სახალხო არტისტისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის ხელის ანაბეჭდი, მისივე ავტოგრაფით გაიხსნა. ხელოვნების სასახლეში ანაბეჭდების გახსნის ტრადიციას ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და მუხუშუმში ყველა იმ პიროვნების ხელის ანაბეჭდი იქნება წარმოდგენილი, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის

განვითარებაში. ამ ეტაპზე უკვე გახსნილია მსახიობების: ოთარ მელვინიუხუცესის, გივი ბერიკაშვილის, კახი კავსაძისა და მომღერალ პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები.

"ჯარისკაცის მამამ" ეკრანზე გამოსვლისთანავე (1964 წ.) დიდ წარმატებას მიაღწია და პრემია კორკში (ირლანდია), X საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო; 1965 წელს დაიმსახურა დიპლომი სან-ფრანცისკოსა და სალონიკის კინოფესტივალზე; რომის II საერთაშორისო კინოფესტივალზე კი პრიზი – „კაპიტოლიუმის იუპიტერი" მიიღო.

*** ფილმის გამოსვლის შემდეგ გურჯაანში დაიდგა "ჯარისკაცის მამის" ძეგლი.

*** სევესტოპოლის მილიციაში, პირი საკუთარი ნებით გამოცხადდა და აღიარა დანაშაული... როდესაც ამის მიზეზი ჰკითხეს, უპასუხა: ვნახე "ჯარისკაცის მამა" და მივხვდი, რომ პატიოსნად უნდა ვიცხოვრო.

*** 2013 წელი იუნესკომ "ჯარისკაცის მამის" წლად გამოაცხადა.



ბატონ ტიტე კოკაელიშვილი!

ბატონო ტიტე, გავეცანი თქვენს წერილს გაზეთ „ილო-რის“ მთავარი რედაქტორისადმი და, გეტყობათ, ჭეშმარიტად პატრიოტი კაცი ბრძანდებით, გრძნობთ და გაწუხებთ ქართველი ერის ეთნიკური ჯგუფების ურთიერთ გაუცხოების ტენდენციას, აცნობიერებთ, რომ ერთმანეთის უსიყვარულობა და გათითო-კაცება ქართველ ერს დაშლისა და, საერთოდ, არსებობის შეწყვეტის საშიშროების წინაშე აყენებს.

გეტყობათ, საკმაოდ ჭკვიანიც ბრძანდებით და გეტყობათ, რომ შეუვალი და გარდაუვალია მიზეზ-შედეგობრიობის კანონი.

ის ტრაგიკული მდგომარეობა, რაც დღევანდელ საქართველოში სუფევს, ტოტალური შემოტევები და ბრძოლა ქართველი ერის თვითმყოფადი კულტურისა და ზნეობის წინააღმდეგ უმიზეზოდ არ ხდება. ალბათ, იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ შედეგებთან პირდაპირი ბრძოლით, შეიძლება, დროებით შევანეროთ, მაგრამ, საბოლოოდ, პოზიტიურ შედეგს მაინც ვერ მივიღებთ, რადგან, სანამ უკეთური შედეგის გამოძევები მიზეზი ვერ აღმოფხვრდება, ის ისევე გამოიწვევს უფრო უარეს შედეგს და ასე თანდათანობით შედეგებთან ბრძოლაში ძალა ეცლება ერთიან ეროვნულ სხეულს. და თუ დროზე გონს არ მოვეგვით, საერთოდ, გაქრება მსოფლიო არენიდან.

რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც შეიძლება საბუნებისმეტყველო გახდეს ქართველი ერისათვის?

– ქართველი ერის ისტორიის შეგნებულად გაყვალბების გამო, ისევე გაუცხოებულა ეროვნულობის განმსახვრელი იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, როგორც ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში შემავალი სპარსული, ბერძნული, სომხური, ლათინური, არაბული, თურქული და სხვა ენის ლექსიკა. მეგრული ენის არმცოდნე ქართველი ვერ გავარკვევს ეროვნული წარმოშობის ლექსიკის (მაგ., ნათელი, ბნელი, თოვლი, ცხელი, დინჯი, მარხვა და ა.შ.) ეტიმოლოგიას სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე, რადგან დაკარგული აქვს ის პირველადი ენობრივი მონაცემები, რაც ამის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ ნუ დაიტრიალებს ვინმე, თუ მეგრული არ იცის, რამდენად ორატორი და მკვერთმეტყველი არ იყო იგი, ქართული ენა სრულყოფილად ვიცო. ალბათ, ამიტომ თქვა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ: „ის კი არ არის სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული“. ამიტომ, ბუნებრივია, ვერ დაიჯერებთ ე.წ. მეგრული ენის პირველადობას და სიდიადეს, რადგან არცერთ სხვა ენას, მათ შორის, ქართულს ვერ შემოუნახავს ის საოცარი მონაცემები, რაც ე.წ. მეგრულს აქვს შემონახული. ყოველ შემთხვევაში, მეორე ასეთი ენა, ჯერჯერობით, უცნობია დედამიწაზე.

რა მონაცემებია მეგრულში, რომელიც მის პირველადობას და ფანტასტიკურ სიმდიდრეს ადასტურებს?

– ოთხი ტიპის ენა არსებობს დედამიწაზე: 1. ძირისეული, ანუ იზოლაციური ენები. ასეთია ჩინური და ვიეტნამური; 2. ფლექსიური ენები (არაბული და მისი მონათესავე ენები); 3. აგლუტინაციური, ანუ გრამატიზირებული ენები. მათ განეკუთვნება ე.წ. ქართველური ენები; 4. პოლისინთეზური ანუ ონკოპორაციული ენები. ყველა მათზე სრული ინფორმაცია ის. მაშინტი ძაძაძია, ცირა ძაძაძია, ვლადიმერ ვახანიძე, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა, შეიღებულნი, ტომი I, გვ. 170-180.

სხვებისგან განსხვავებით, ყველა აქ ჩამოთვლილი ტიპის ენათა ენობრივ მონაცემებს, მათ თვისებებს მეტნაკლები რაოდენობით შეიცავს ე.წ. მეგრული ენა. ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველად ერთი ენა იყო დედამიწაზე, მაგრამ მისი დაშლის შემდეგ ენები სხვადასხვა მიმართულე-

ბებითა და თვისებებით განვითარდნენ, ხოლო თავდაპირველი ადამის ენა იბერიულმა (ე.წ. მეგრულმა) ენამ შემოინახა.

ბიბლიიდან ცნობილია, რომ **რასაც ადამი დაარქმევდა საგნებს და მოვლენებს, მისი სახელიც ის იქნებოდა** (იხ. დაბ. 2.19). მაგრამ რა ნიშნის მიხედვით უნდა დაერქვია ადამს საგნებისთვის სახელები? უძველესია, საგანთა მიერ გაღებულ ბგერებზე ძმაბაძვით. სამყაროს გვირგვინს **ადამიანი**, ანუ **ადამის სამყაროს ბინადარი** ჰქვია ქართველურ ენებზე, ხოლო რუსულად **ჩელოვეკი** ვეროპულ ენებზე **მენ**, სომხურად **ყოტ** და ა.შ. აქედანაც კარგად ჩანს, რომ იბერიული მოდგმის ხალხი, პირველი კაცის ადამის პირდაპირი მემკვიდრეა. სწორედ, მეგრული ენის ძირისეული ფორმების 75,6% ხმაბაძვითია, ხოლო სხვა ენებში ხმაბაძვითი ფორმები უმნიშვნელოა, ამიტომ, საერთოდ, ენა მიხნეულია, პირობით, შემთხვევით და ნებისმიერად სახელდებულ ფორმათა ერთობლიობად, რაც შეცდომაა. სწორედ, რომ **ადამისუამინდელ ხმაბაძვით შერქმეულ ძირისეულ ფორმებზეა აგებული ე.წ. მეგრული ენის წარმოშობის ლექსიკა**. ამიტომ არის **ე.წ. მეგრული ენა პირველადი, ადამუამინდელი ენა**.

რამ განაპირობა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ფანტასტიკური სიმდიდრე?

– ე.წ. მეგრული ენაში 93 ზმნისწინია, როცა სხვა აგლუტინაციურ ენებში 16 ზმნისწინზე მეტი არაა. ე.წ. მეგრული ენის ძირისეული ზმნური ფორმების, თითქმის, 100% ირთავს 93-ივე ზმნისწინს, როცა ყველა სხვა ენების, მათ შორის, ქართული ენის ზმნური ფორმების 20%-იც არ ირთავს ამ 16 ზმნისწინსაც.

326-მდე სუფიქსია ე.წ. მეგრულ ენაში, რომელთა უდიდეს უმრავლესობას ირთავს მეგრული ენის ძირისეული ზმნური ფორმები, როცა სხვა ენებში სუფიქსები თითხე ჩამოსათვლელია. 6652 ძირისეული ფორმაა მეგრულში. ამ ფორმების **აფიქსაციით** (ზმნისწინებისა და სუფიქსების დართვით) და **ინფიქსაციით** (ძირისეული ფორმების შიგა განხმრეობებით) მიიღება ე.წ. მეგრული ენის ფანტასტიკური სიმდიდრის ლექსიკა.

აქ მითითებული მონაცემები, უფრო დაწვრილებით და დამაჯერებლად ჩამოყალიბებული, შეგიძლიათ ნახოთ მ. და ც. ძაძაძეების ოცტომეულში, **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატანე“**, ჯგერჯერობით, კომპიუტერული ვერსია.

აი, ასეთი მონაცემების მქონე ენა დიდიხანა უნდათ დააკანონონ პროფ. ტ. ფუტკარაძეს და თ. გვანცვლაძეს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს და აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს. ისინი თავიანთი იბერიული იბრძვიან ე.წ. მეგრული ენა აღიარებინონ მსოფლიოს ქართული ენის დიდიხანა და თვლიან, თუ ამას ვერ მიადევნენ, ცა დაეცემათ თავზე.

და ყველაფერი ეს ხდება სახელმწიფო დონეზე: საქართველოს ისტორიის (ოთხტომეულის) 2012 წლის გამოცემაში მარიამ ლორთქიფანიძემ ჩაწერა: **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“**, თორემ ასეთი სახელწოდებით ეროვნულ ცნობიერებაში სახელმწიფო არ არსებობდა. დიდა კი ასეთი უხერხემლო ლაფსუსი წმინდა გიორგის ორდენად, რომლითაც მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ აკად-სი მარიამ ლორთქიფანიძე დააჯილდოვა?

იმას კი მაღავეს მარიამ ლორთქიფანიძე, რომ ახ. წ.ად. 523 წლამდე ჩვენს ქვეყანას **იბერია ერქვა, ქართლი** იბერიის დაქვემდებარებაში შედიოდა და სახელმწიფოებრიობა, იბერიის დაცემის შემდეგ, მხოლოდ 899, თუ 888 წელს მიიღო პირველად. ქართლის პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი, მაგრამ ქალბატონი მარიამი ისე იქცევა, თითოსდა, ასეთი რამ არასოდეს სმენოდეს.

რა ჰქვია, ბატონო ტიტე, ასეთ ქმედებას, თუ არა მეგრულთმოძულეობა და, საერთოდ, ქართველთმოძულეობა? ეს ჭეშმარიტება ბრწყინვალედ იციან მეზობელ ქვეყნებში და, როცა თვით ქართველები (თუმცა, საეჭვოა, ისინი ქართველები იყვნენ, მაგრამ რას ვაკეთებთ ქართველები ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის საწინააღმდეგოს?) ცდილობენ პროტოქართული (იბერიული) ენა დააკანონონ მისი დიდიხანა – ქართული ენის დიდიხანად, როგორ გვინათ, ქართველთა ასეთ სანატრულ სიბრძნევს არ გამოიყენებს სამოთხისსადარ ქართულ მიწებზე კბილბაღისილი მტერი? და ეს ტენდენცია ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვიდრდება ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების დროიდან, სახელმწიფო ენად ქართულის ძივების შემდეგ (ალბათ, 1008 წლის შემდეგ), სახელდობრ, მას შემდეგ, რაც გვარამოცველილი სომეხის – ლეონტი მროველის, თუ მროველის სახელზე სომეხი ავტორის მიერ შეთხზულ იქნა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ამ თხზულების დედანი არაგვის უნახავს; ცნობილია 18 სხვადასხვა ხელნაწერი. მათ შორის, ყველაზე უძველესი ხელნაწერი სომხურია, რომელიც დათარიღებულია 1270-1310 წ.წ.), რომელშიც წერია: აქამოდის (იგულისხმება ძვ.წ.ად. 550 წ.) ქართლისიანთა ენა სომხური იყო, ანუ პროტოქართული ენა სომხური იყო, ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები, თარგამოსის ყველაზე ჭკვიანი და უკეთესი შვილის – პოსის (სომეხთა ეთნარქის) კუთვნილებააო. ამიტომ გვედგება პირველადი სომეხი – სამეფო კარაპეტინი, თბილისის სომხური ქალაქი (იხ. გ-თი „საქართველო და მსოფლიო“, 30 აპრილი - 6 მაისი, 2014 წ. №15 (250)). და განა მარტო დედაქალაქს გვედგებიან? ალბათ, ნანახი გექნებათ **„დიდი არმენიის რუკა“**, რომელშიც შეტანილი აქვთ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველო და სამხრეთ საქართველო, ისტორიული სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ჩათვლით. და ეს რუკა შედგენილია ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** საფუძველზე, როცა იბერია ერქვა ქვეყანას, ამას ვერ გვიბედავდნენ, მაგრამ X საუკუნემდე უცნობი სახელით – ქართლით იბერიის შეცვლის შემდეგ მიეცათ საფუძველი გვედავონ ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე, რაზეც ქართველებს ხმაც არ ამოუღიათ, უბრალო კომენტარიც არ გაუკეთებიათ არასოდეს. ვერც ვერაფერს დაუპირისპირებენ პროტოქართულ ენად, თუ არ იქნა აღიარებული ადამუამინდელი იბერიული ენა და თავიდან თუ არ დაიწერა საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია. რატომ? იმიტომ, რომ ჭირი თავს მაინც ვერ დამალავს და ჩვენ როდემდის უნდა ვმადლოთ? ბოლოსდაბოლოს, ვიდაცამ ხომ უნდა გამოიჩინოს ვაჟაკობა და თქვას სიმართლე? და აი, უკვე, ზოგისთვის რამდენად მოულოდნელი და მწარე არ აღმოჩნდეს, მერამდენედ ვაცხადებ ჭეშმარიტებას: 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფემ, უსინათლომ და **„უმწიფელ“** წოდებულმა, მაგრამ უგონიერესმა თეოდოს II, 523 წელს პირისაგან მიწისა აღვივლი და დაქუცმაცებული იბერიის ისევე გაერთიანების მიზნით, ეგრის-აფხაზეთის სამეფო ჩააბარა თავის დისშვილს, ქართლის უფლისწულს – ბაგრატ III ბაგრატიონს. სწორედ, ეს ისტორიული სინამდვილე გამოიყენა პროტიპად **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** ავტორმა (ლეონტი მროველი იყო იგი, თუ სხვა პირწავარდნილი სომეხი) და მე-10 საუკუნეში მომხდარი ფაქტი თავისებურად ინტერპრეტირებული, გადაიტანა ცამეტ საუკუნით წინ, ძვ.წ.ად. მე-3 საუკუნის დასაწყისში და დაწერა ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეა, რომელთა სინამდვილეში არსებობას არავითარი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია და ქართველ მეცნიერთა მიერ, თეოდოს II-ს მაგივრად, არასებური ქუჯია

განდიდებული თავისი დიდსულოვნებით: **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** ავტორის მიერ კი, ყოფილი ქვეშევრდომი ეთნოსის წარმომადგენლისთვის თავისი სამეფო ტახტის ჩაბარების გამო, ცინიკურადაა დამდაბლებული. ხოლო **„ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული და სხვა ენა არდა იზრახებოდა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისაო“**, იმის საკომპენსაციოდ დაწერილი, რომ 899, თუ 888 წლამდე, დამოუკიდებელი სამეფოს არმქონე ქართველთა შეეწყნარებინა სომეხთა სასარგებლოდ დაწერილი ზემოხსენებული სიყალბე. და ამ ვერაუღმა ფანდმა გასჭრა კიდევ, ქართველები ხმას არ იღებენ, მიუხედავად იმისა, ეს სიყალბე, შეიძლება, საბედისწერო გახდეს ქართველი ერისათვის. პირიქით, იბერიის არსებობას, საერთოდ, წაუყრუა **„დიდმა“** ისტორიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ და საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემის I ტომში, 10 წლის წინათ გარდაცვლილი მეგრული წარმოშობის აკად-ის ანდრია ავაქიძის სახელზე ჩაწერა **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა, თორემ ეროვნულ ცნობიერებაში ასეთი სახელმწიფო არ არსებობდაო, მაშინ, როდესაც ახ.წ.ად. მე-2 საუკუნეში, ქართამ I მეფობის დროს, ქართლი გამოეყო იბერიას და ექვსი მეფის (ბარცამანის, კაოს, არმაზარის, ადერუის, ფარსმან-ავახისა და მირდატის) მეფობის შემდეგ იძულებული გახდა ისევ დამორჩილებოდა მცხეთის იბერთა მეფეებს“** (იხ. ინგლისელი ისტორიკოსის – ჰენრი რაულინსონის **„იბერიის ისტორია“**, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის **„როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“**, 1-ლი მხატობი, 1948 წ. №8, პავლე ინგოროვცა, თხზულებანი, IV ტომი და **„მოქცევა ქართლისაი“**). თუ იბერები და ქართველები ეთნიკურად ერთიდაიგივე ტომი იყო, რატომ გამოეყვნენ ქართველები იბერებს? თუ ნამდვილი პატრიოტი ბრძანდებით და გიყვართ დედა სამშობლო, არ გიდალატებთ ვაჟაკობა, აქ და სხვა წერილებში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას მოსთხოვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. არადა, თქვენც განუმდებით სამარადისოდ და თქვენი წუხილის მიზეზზე ხმას არასოდეს ამოიღებთ.

ასე რომ, თუ არ იქნა აღიარებული და ამოძირკვეული ქართველი ერის ცხოვრების გაუკუმართების თავი და თავი მიზეზი, ქართველი ერის გაქრება გარდაუვალია. ეს ჭეშმარიტება რამდენჯერმე დავაფიქსირე ჩემი წერილებით გაზეთებსა და ჟურნალებში, მაგრამ არავინ გამოიმხაურებია, ქართველები, მხართეოზე წამოწოლილნი მხოლოდ დიპის გაზრდას ვეწვეით. ასეთ უმოქმედობას და უდარდებლობას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ამის პროგნოზირება არ არის რთული ამოცანა. მაგრამ ქართველებს, რადგან სამარისსებრი დუმილი დაუფლებიათ, სიყალბეს და მონობას შეგუებული უნდა იყონ. სხვა რა შეიძლება ვიფიქროთ? ასეთ ვითარებაში, არაფერია გასაკვირი რომ, მუდამ თავისუფლებისათვის მებრძოლმა მეგრელებმა დამოუკიდებლობა მოითხოვეს. მონობაში სიკვდილს ხომ კაცურად სიკვდილი სჯობია. და განა საქართველოდან გამოყოფისკენ არ გვიბიძგებენ ზემოხსენებული ანტიქართველები? ასეთ უკიდურეს მდგომარეობამდე ვართ მისული. დაფიქრდით ქართველებო, ამოიღეთ ხმა. თქვენ რას იტყვით, ბატონო ტიტე?

პატივისცემით,
კუპური შიშია,
„ზაზისისა“ და „აიას“ აკადემიების წევრი,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს მთავრობა ხალხზე ორიენტირებულია თუ საკუთარ ჯიბეზე?

ლეონტი ბიჭიაძე

“ხელისუფლება რომელსაც არ შეუძლია უპატრონოს მოსახლეობის უმრავლესობას, რომლებიც ღარიბები არიან, ვერ გადაარჩენს საზოგადოების უმცირესობას, რომლებიც მდიდრები არიან”. ჯონ კენედი



მიხეილ სააკაშვილის “გმირობით”, რაც “ნაციონალურმა მოძრაობამ” დამართა საქართველოს, ასეთი რამ არცერთ დამპყრობელს არ ჩაუდგია. ეს იყო ვეროპისა და ამერიკის ორგანიზაციებში დაგეგმილი საქართველოს განადგურების მიზანმიმართული პროგრამა, რასაც დღევანდელი მთავრობაც აგრძელებს – კოპობიტაციის გზით ჩახუტებულ “კანონდებთან” ერთად. კვლავინდებურად ისევ გრძელდება ხალხის მოტყუება და იმედის გაცრუება. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი არჩევნების საავტოტო მართონი – რას არ პრედვიან ხალხს რომლის გამკეთებელი არცერთი არ არის. საქართველოში მოქალაქეების ტყუილით კვება აპროპირებული ხერხია. მოტყუებული და მშიერი ხალხი ისევ მივა საარჩევნო ყუთთან და მტყუარა დეპუტატობის კანდიდატებს მისცემს ხმას.

რა ძლიერი ვყოფილვართ ქართველები, რომ 23 წელია ასეთ აბუნად ადგება ვითომ – უკეთესის მოლოდინში!

სანამ მოსახლეობაზე ორიენტირებული მთავრობა არ მოვა, საქართველოს აღორძინება არ უწერია. ქვეყნის აღორძინების სათავე – სოფელი – განადგურებულია. მის აღორძინებას არც ერთი წელი ვყოფა და არც რვა. სოფელს ახალგაზრდობა სჭირდება, რომელიც სოფელში აღარ არის. თაობა უნდა გაიზარდოს სოფლის სიყვარულით, რომელიც გულიანად მოკიდებს ხელს თავის კუთხის აღორძინების საქმეს – წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ მიწას სხვა ერის წარმომადგენელი დაეპატრონება (თუ დღეს უკვე დაპატრონებული არ არის). დღეს მშიერი მოქალაქე ვერც სოფელს მოუვლის და ვერც ქვეყანას. მშიერი ადამიანი “მგელა” და საკბილოს ეძებს, ის არაფერს არ ერიდება. ასეთია დღეს ჩვენი საქართველოს დღევანდელი მთავრობა. როცა სახელმწიფოში 70% უმუშევარი დადის, ჩინოვნიკები კი საშუალოდ 5.000 ლარიან ხელფასებზე დანამატებს თხოულობენ და უნიჭო მთავრობით ხელშეწყობით მიზანსაც აღწევენ, ათასობით ლარს დაუშვასხურებლად დებულობენ ბიუჯეტიდან, ასეთი ჩინოვნიკები უფრო მხარცელებს ჰგვანან, ვიდრე ხალხის მიერ დაქირავებულ მოხელეებს.

ასეთ სახელმწიფოში არც სიმდიდრე შეიქმნება და არც დისციპლინა. სახელმწიფოში, რომელშიც დომინირებს ასეთი მორალი – მოხელს თუ არ მისცემ და მატებით ხელფასს იგი მოიპარავს ან ქრ-

თამს აიღებს, რა მორალია ეს? ამით გვიანდა ავაშენოთ საოცნებო საქართველო!

გადაცემა “რეაქციაში” იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა თეა წულუკიანმა განმარტა: – მას აქვს თვიური ხელფასი 5000 ლარი, რაც მას არ ჰყოფნის, ამიტომ მას და მის თანამშრომლებს უხდია ხელფასის დანამატს. ეს მას მიანიჭა კანონიერად. ქალბატონო თეა! ასეთ უაზრო განცხადებას არცერთი დაბალი რანგის იურისტი არ გააკეთებს.

ასეთი მორალით შეიარაღებული მთავრობა ღირსეულ ქვეყანას ვერ ააშენებს, რაც მალე მოხდება თქვენი წახვლა მით უფრო უკეთესია.

ქალბატონო თეა! – თქვენ არ ბრძანდებით ხანძარს, რომელიც თავის თავზე გასაცემ პრემიების ბრძანებებს თვითონ აწერს ხელს. – თქვენ ბრძანდებით საკმაოდ განსწავლული, პრაქტიკული გამოცდილი იურისტი. ისეთი განმარტება რაც თქვენ გააკეთეთ თქვენ “რეაქციაში”, რომელიც მთელი საქართველო უყურებდა, დიდი შეცდომა იყო, თქვენი განმარტება ზუსტად დაემთხვა თქვენი წინამორბედი “ნაციონალისტების” იდეოლოგიას – თუ მოსამართლეებს და სამართალდამცავ ორგანოებს დიდი ხელფასები და პრემიები არ ექნებათ, ან მოიპარავენ, ან ქრთამს აიღებენ. ეს არის უკანონობის დაკანონება, რის გამოც, 23 წელიწადი ვქმნით სახელმწიფოს და ვერ შევქმენით – დღევანდელი საქართველო არ შემდგარი სახელმწიფოა!

იმ ქვეყანაში, სადაც შრომაში გაჭაღარავებული, ვალდებულნი, 65 წელს გადაცილებული პენსიონერის დამსახურებას 150 ლარად შეაფასებ და გაზულქებულ ჩინოვნიკს მილიონებს უდებ ჯიბეში, რესტორნებში კი, ბიუჯეტის ხარჯზე, 117 ლარიან ღვინოს მიირთმევენ და ზედ შემწვარ მწვერს დააყოფენ, და ამ დროს ქვეყნის მოსახლეობის 70% უმუშევარია და შიმშილობს, სამართალი არასდროს არ აღდგება! რა სინდისით გამოდის ფინანსთა მინისტრი და აცხადებს – 2014 წლის ბიუჯეტში პენსიების გაზრდისთვის ფული არ დაგვრჩაო. რა ბიუჯეტი გაუძღვება უკონტროლო ფინანსთა მინისტრს! ხალხზე ორიენტირებული მთავრობა რომ იყოს, ხადური ციხეში უნდა იჯდეს!

ქვეყანაში შექმნილი დღევანდელი სიტუაცია კრიტიკას ვერ უძლებს. ყველა საჯარო სამსახურში თვალშისაცემია დაბალი პროფესიონალიზმი, რაც მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იმსახურებს. მაგალითად, რა იმედი უნდა ჰქონდეს მოქალაქეებს დღევანდელი საგამომძიებლო ორგანოებისა, როცა მათი გამომძიებელი საქმეები ადვოკატების მიერ საჯაროდ საქლიკო ხდება. ყოველთვის წაგებით მთავრდება სახდარგარეთ გაგზავნილი საქმეები, მაგ. საფრანგეთში და საბერძნეთში. სახარბიელო მდგომარეობა არც საკუთარ სახელმწიფოში გვაქვს. ნუნებერგის პროცესი არ გაგრძელდება იმდენ ხანს, რაც ქალაქის ყოფილი მერის – გიგი უგულავას საქმე გრძელდება. ყველა ფიქრობს – საქმე იმითმ გაიწვია, რომ უგულავას გამართლება უნდათო. მთელი ქალაქი გაყიდულია, გოჯი მიწა აღარ არის დარჩენილი, ქალაქის მწვანე საფარი განადგურებულია. რუსთაველის გამზირის იმსიამდღე სახლები ჩამოაფარეს, რომ აღარაფერი აღარ ჩანს. ფუნიკულიორი “ქოლგასავით” ეხურება რუსთაველის გამზირს, რაც მთელი თბილისის მშვენიერებას წარმოადგენდა. თბილისი ამ მანქანების ხელში მახინჯ ქალაქს დაემსგავსა, ამის მაგალითია რიყის განაშენიანება. დროა თბილისში შეწყდეს არქიტექტურულად გაუმართლებელი ბარბაროსული მშენებლობები.

ახლოვდება ევროკავშირთან “ასოცირებული ხელშეკრულების” ხელის მოწერის დრო, რასაც აგრესულად აღიქვამს რუსეთის მთავრობა. ამ მოკლე პერიოდში მინც გამოიჩინონ ჩვენმა ენაჭარტალა პოლიტიკოსებმა და ზოგიერთმა დოლარებს-დახარბებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დიდხულოვნება და შეწყვიტონ რუსეთის საჯარო ლანძღვა-ეგებება. წინააღ-

მდეგ შემთხვევაში გამორიცხული არ არის რაიმე პროვოკაციის საშიშროება. მაშინ უკვე გვიანი იქნება განცხადება იმისა, რომ ასეთი ვითარების შექმნას არ მოველოდით. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, აქვს არსებობის უფლება. ყველა მოსალოდნელი საფრთხე გათვალისწინებული უნდა იქნეს.

დემოკრატიული მმართველობის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი არის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ზრდის ნდობის ხარისხს, რაც ასახავს პოპულუს ყოველი გადაწყვეტილების შესრულებაში. მყარი ურთიერთობის გარეშე მართვა არაეფექტურია და ბევრ პრობლემებს ქმნის. ეს კი იწვევს სისტემის ნგრევას. ხელმძღვანელის მმართველობის არეალი გარკვეულ სივრცეს მოიცავს. პირველ პირს ყველა ობიექტის შესწავლა და ანალიზის გაკეთება უჭირს, რის გამოც წარმოიშობა ხარვეზები – ზოგჯერ საგალალოც. კომუნიკებმა კარგად გათვალეს და ყველა სტრუქტურაში შემოიღეს მოქალაქეთა მიღების საათები. მიღების საათები მოქმედებდა ყოველი ორშაბათის 3 საათიდან – პარასკევს, პირველ პირებთან, ხოლო სამშაბათს და ხუთშაბათს მეორე პირებთან შეხვედრას ითვალისწინებდა. მოქალაქეთა მიღების აღნიშნული წესი მოქმედებდა მთელ ქვეყანაში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პარტიის წევრი 3 საათიდან შედიოდა პარტიული მანდატით, ყველა განყოფილების გამგესთან. ეს სისტემა მუშაობდა მთავრობის ყველა რგოლში, გარდა პირველი პირებისა. რა შედეგი ჰქონდა მოქალაქეთა მიღების საათებს?

- 1. ხელმძღვანელობა უფასოდ დებულა უზარმაზარ ინფორმაციას;
- 2. მოქალაქეები თავისუფლად ახერხებდნენ სამართლის მოპოვებას;
- 3. ხელმძღვანელი ვერ ბედავდა მოქალაქის უკანონო დასჯას – კანონი ზემოდა;
- 4. იქმნებოდა ნდობის რწმენა, ეს კი დიდი ძალა იყო სისტემისათვის.

ეს და მრავალი სხვა იყო იმის საწინდარი, რომ შეიქმნა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო – საბჭოთა კავშირი.

დღეს საქართველოში დემოკრატიის ყველაზე საიმედო საყრდენი – მოქალაქეთა მიღების საათები არ მოქმედებს, რადგან კომუნიკური წარმოშობისაა. 23 წელიწადია ვქმნით და ვერაფერი ვერ შევქმენით ნორმალური სისტემა – ხელმძღვანელობა ჩაკეტილია, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიას არ იცნობენ, არც მოქალაქეებთან აქვთ ურთიერთობა. ეს არის ხელმძღვანელობის დაშორება მოქალაქეებთან, რაც საველად შედეგით მთავრდება. ვთხოვ ქართველ საზოგადოებას – დაუჭირონ მხარი წინადადებას – აღდგენილ იქნას მოქალაქეთა მიღების საათები საქართველოს ტერიტორიაზე, დაწყებული მთავრობიდან – ძირეულ რგოლებამდე. დღეს, რომელ დაწყებულია მოქმედება არ უნდა მიხვიდე, შესასვლელ კარს იქით ვერსად წახვალ. განცხადებას ნააბარებ, პასუხს ვერ მიიღებ. ეს არის რეალობა, ამის გამო არის ხალხი და მთავრობა გაუცხოებული ერთმანეთისგან. ეს “ადამიანობა” რომ დაეძლიოთ, უნდა იქნეს აღდგენილი მიღების საათები ოფიციალურად.

ბატ. ბიძინა ივანიშვილის მიერ იმედგაცრუებული ხალხს არავისი აღარ სჯერა. ბატ. ბიძინამ ხალხის უზარმაზარი მხარდაჭერა ფეხქვეშ გათვალა. ვერ გაიგო დიდი მხარდაჭერის მაღლი და ძალა. გამარჯვებას რომ ზემოდა და დიდ კმაყოფილებას გამოხატავდა, ეს ყველაფერი ხალხის მადლიანი ძალისხმევით იყო. ბანკს რომ უკორტებდნენ ბატონ ბიძინას, ხალხმა პურის ფულიც კი შეიტანა ბანკში, რომ გადაეყვინათ “ქართუ ბანკი.” ამის დაიწყება ან სიბრიყვეს ნიშნავს, ან უცოდინრობას. მაგრამ ბატონმა ბიძინამ ყველაფერი დაივიწყა – დანაპირები არ შეასრულა. წავიდა ხალხის მოტყუების გზით. მან უნდა იცოდეს – ხალხის მო-

ტყუება ძნელია, მორგეა ადვილი. მის მიერ შექმნილი მთავრობა დღეს უდემოკრატულ მარცხავს ხალხს მიერ შექმნილ ბიუჯეტს და გამოითხველი ჯერჯერობით არსად ჩანს. მოვითხოვ, როგორც რიგითი მოქალაქე – გამოქვეყნდეს ყველა საჯარო მოხელის ხელფასები, დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული რიგითი თანამშრომლით. იცოდეს მოსახლეობამ, ვინ რამდენს უხდის დაქირავებულ მოხელეს. როგორ უნდა დაკნინდეს ადამიანი ისე, რომ, როცა შენი ხალხი შიმშილობს, სანაგვე ყუთებში ეძებს საკვებს, ამ დროს, ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრი ბატ. ბიძინა ივანიშვილი ხელს აწერს ბრძანებას და აკანონებს უკანონობას, სახელფასო დანამატის სახით. ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია.

ბატ. ბიძინა! თქვენ საკუთარ თავს განსწავლულად აცხადებდით, განსაკუთრებით ეკონომიკაში. მეც ასე მეგონა მაგრამ ასე არ ყოფილა. თქვენ საკმაოდ სუსტი ხელმძღვანელი ბრძანდებით. რომ იცოდეთ, პრემია ლათინური სიტყვაა და ჯილდოს ნიშნავს. ჯილდო კი ერთჯერადი აქტია – ხანგრძლივობა არ გააჩნია. თქვენ კი პრემია გადააქციეთ მუდმივ აქტად და ნაძირალა ჩინოვნიკებს გააძარცვიეთ ბიუჯეტი, რომელსაც გაჭირვებული ხალხი ქმნის. ყველა საჯარო მოხელე ადორცხულია და თანამდებობის მიხედვით მათზე დაკანონებულია სახელფასო სარგო. ამ სახელფასო სარგოთი უნდა დაკმაყოფილდეს მოხელე, ხოლო ხელს თუ არ აძლევს, უნდა დატოვოს თანამდებობა. ის მდგომარეობა, რაც დღეს შექმნილია სახელისუფლებო ორგანოში და მოდებულია მთელ საქართველოში, აღიქმება როგორც თაღლითური გზით საბიუჯეტო თანხების ხარჯვა – რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. საბიუჯეტო თანხების უკონტროლო ხარჯვა დააკანონა ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (საკიანცმა) და მისმა ხროვამ, რომელიც უპრობლემოდ გავიდა ქვეყნიდან, ბატ. ბიძინას მფარველობით და დღეს ხან ამერიკიდან, ხან ევროპიდან იმუქრება, რომ ისევ დაებრუნდები და გაეგარებლებ დაწყებულ საქმეს. ეს ხომ კრის სირცხვილია! და ეს სირცხვილი ბიძინა ივანიშვილის კისერზეა.

თუ მთავრობა გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხის მიმართ, რაც არ უნდა დაუჯდეს – მიხეილ სააკაშვილი ხელბორკილებადებული უნდა ჩამოიყვანონ საქართველოში. თუ ამას არ მოიმოქმედებენ, ხალხი სულ მალე გამოვა ქუჩაში მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

დრო მიდის, დაწარული, მოტყუებული მოქალაქეები კიდევ უფრო იწარებიან. სისტემატიურად იზრდება ფასები სამომხმარებლო საქონელზე, სამკურნალო პრეპარატებზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. გაჭირვებულ მოსახლეობას ყველაფრის შექმნა მე-3 ხელიდან უხდება, რაც საგრძობლად აძვირებს პროდუქციას. სრული განუკეთხოებაა თბილისის ბაზრებში. პროდუქციის სიძვირეს მოსდევს ანტი-სანიტარია, იწარება მომხმარებელი, გამკითხველი კი არ ჩანს.

მთავრობა ვალდებულია გონივრულად იმოქმედოს – კრიზისულ მომენტში აკონტროლოს ყველაფერი. ამ საჯარო მოხელეებმა, რომლებმაც უკანონოდ მიიღეს ბიუჯეტის თანხები პრემიის ან სახელფასო დანამატის სახით, უკან უნდა დააბრუნონ. თუ მთავრობამ ეს ვერ უზრუნველყო და არ გააკეთა, მაშინ ასეთი მთავრობა ხალხის მძარცველია.

ბატ. ირაკლი ღარიბაშვილო! როგორი პრინციპულობაც გამოიჩინეთ “ანტი-დისკრიმინაციული” კანონის მიღებისას. ისეთივე პრინციპულობა გამოიჩინეთ უკანონობის დაკანონების გაცემული ბიუჯეტის თანხების (რომელიც ხალხს ეკუთვნის) უკან დაბრუნებისათვის, – წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ავტორიტეტს ვერ უშველის ევროკავშირის “ასოცირებულ ხელშეკრულებაზე” ხელის მოწერა.

ლეონტი ბიჭიაძე
ინჟინერ-ეკონომისტი

ირაკლი ალასანია და მისი მხეთე კოლონა

13 ივნისს ირაკლი ალასანია გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრის მიერ «ბი-სი-სი-სი»-სთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიით. «ჩაატარებს თუ არა ანექსიას რუსეთი, ეს მამა ღმერთმა არ იცის, იმიტომ, რომ გადაწყვეტილებას იღებს ერთადერთი კაცი, ეს არის პუტინი და, რა თქმა უნდა, ვერც ჩვენს პრემიერს და ვერც ყველაზე დიდ სადაზვერვო ორგანიზაციას ვერ ექნება ამის შესახებ ინფორმაცია», – განაცხადა ალასანიამ (ინტერპრენსიუსი). საინტერესოა, რა დგას ამ კომენტარის უკან – მხოლოდ ანტიპათია ღარბიანების მიმართ და ჯიბრში ჩადგომის დაუოკებელი სურვილი თუ შედარებით რთული პოლიტიკური გათვლა? რა უნდა ალასანიას?

ომრუშაშვილის რეინკარნაცია

ვიდრე იმის გარკვევას შევუდგებით, რა იცის მამაზეცერმა და რა – ირაკლი ალასანიამ, ალბათ, ურიგო არ იქნება იმის გახსენება, რომ მოტივები «ჩვენ არ ვიყოფით», «ჩვენ არ გვევინა», «ამას ვინ იფიქრებდა» და ა. შ. რუსეთის მოქმედებასთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკისთვის უცხო არ არის. ჩვენ შეგვიძლია გავისხენოთ ავგისტოს ომის შემდგომი პერიოდი და გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის – ზახა გოგავას პასუხები საპარლამენტო კომისიის წევრების კითხვებზე: «ჩვენ არ ველოდით იმას, რაც 9 აგვისტოს მოხდა, რაც 7-ში დაიწყო», «სამხედრო, საგარეო დაზვერვისა და კონტრაზვერვის დეპარტამენტებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ამ დონის აგრესიაზე არც ერთი ქმედება არ მიუთითებდა». მაშინ საზოგადოება ძლიერ აღშოთდა – რას ქვია «არ ველოდით», როდესაც მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე პირდაპირ მიუთითებდა ქართული ექსპერტების უმრავლესობა, ხოლო კრემლი როგორც სიტყვით, ისე საქმით (წვრთნები ჩრდილოეთ ოსეთში, სარკინიგზო ჯარების მიერ აფხაზეთში ლიანდაგის შეკეთება და ა. შ.) მკაფიოდ მიანიშნებდა საქართველოს ხელისუფლებას, რა მოჰყვებოდა მის მკეთარობებს, როგორც ცხინვალში, ისე ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით. ამ უსუსურმა პოზიციამ – «ჩვენ არ გვევინა» ისედაც დაფიქრებდა ალასანიას სააკაშვილის რეჟიმს ბევრი ქულა დააკარგვისა. ახლა ალასანია, ფაქტობრივად, იმავეს ამბობს, ოღონდ არა პოსტ-ფაქტუმ, არამედ კრემლის შესაძლო ნაბიჯებთან დაკავშირებით.

«განმუხტვამ» რუსეთთან ურთიერთობებში, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, არც ისე ბევრი პოზიტივი მოიტანა, მაგრამ, ალბათ, არაფერი უარყოფს იმას, რომ ესკალაციის საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა. მასზე მხოლოდ ბოლო დროს ალასანიამ დააბრუნა, მას შემდეგ, რაც კრემლმა ნათვალა, რომ ოფიციალური თბილისი ისევე ძველ პოლიტიკას დაუბრუნდა. აუისმომასწავლებელი სიგნალები მოსკოვიდან განსაკუთრებით ხშირი მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი ალასანიამ ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებლად მოუწოდა ნატოს ქვეყნებს, საქართველოში თავდაცვითი საშუალებები განეღობინათ. ამასთანავე, როგორც მან, ისე მისმა თანამოაზრებებმა ხელისუფლებამო მკვეთრად გააძლიერეს რიტორიკა ნატოში ინტეგრაციისთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი მზად არ არის საქართველოს არათუ წევრობა, არამედ «წევრობის სამოქმედო გეგმა» (იგივე მპაი) შესთავაზოს, რაც ნათლად დაფიქსირდა (მაგალითად) ვერმანის კანცლერის – ანგელა მერკელის ბოლო-დროინდელ განცხადებებში. ოფიციალური მოსკოვის მკვეთრმა რეაქციამ არ დააყოვნა, ხოლო ქართულ და რუსულ მედიაში დაიწყო მსჯელობა საქართველოში რუსული ძალების კონტროლის ზონის შესაძლო გაფართოებაზე, რუსეთის შემადგენლობაში სეპარატისტული რესპუბლიკების შესვლაზე, «ვირთულ ვარიანტზე» ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის და ა. შ.

პარადოქსულია, მაგრამ ირაკლი ალასანია ბოლო ხანს იქცევა ისე, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთთან ასე თუ ისე მშვიდობიან დაძლიერდა აწარმოებდა და მომავალ ომზე თითქმის არაფერი მიუთითებდა. თავდაცვის იმპაზინდელი მინისტრი რუსეთის მისამართით მკვეთრად კონ-

ფრონტაციულ განცხადებებს აკეთებდა, რომელიც ირბად ხელს უწყობდა მოსკოვში იქაური «ქორების» შეხედულებების გავრცელებასა და დაპირისპირების გაღრმავებას. მსგავსი «კერძო საგარეო პოლიტიკის» გატარება შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს.

შესაძლოა, ალასანია, მზარდი ამბიციებიდან გამომდინარე, ცდილობს, ამერიკელების თვალში თავი წარმოაჩინოს უფრო ადეკვატურ ლიდერად «ახალი ცივი ომის» პერიოდისთვის, ვიდრე ივანიშვილი და ღარბიანები, რომლებიც «გადატვირთვით» რიტორიკასა და პოლიტიკასთან ასოცირდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთმა თამაშმა შეიძლება საქართველოს უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

ზოგადად, მივლინებს «ჩვენ აპირით ვერ გავიგებთ, რას მოიმიქმედებს რუსეთი» არაპროფესიონალიზმისა და უსუსურობის ელფერი დაპირება და ამ ნიადაგზე საცხებით ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვა «რა უნდა მთავრობაში მინისტრს მსგავსი იდეებით? გაეუშვათ ეს და მოვიყვანოთ სხვა». მაგრამ, შესაძლოა, საქმე შედარებით რთულადია – ეს პოზიცია უარყოფს მოსკოვთან ორმხრივ კომპრომისზე დაფუძნებული პოლიტიკის შესაძლებლობას (ვინაიდან ის, ალასანიას მიხედვით, რაღაც განსხვავებულ, ამოუცნობ ლოგიკას ეყრდნობა და კაცმა არ იცის, რას გააკეთებს). სინამდვილეში, რუსეთის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის, პოლიტიკა, მისი მიზნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს. საქართველოსთან დაკავშირებით მას საკმარისი მკაფიო და გასაგები გზავნილის სახე აქვს – «თავი დაანებეთ ნატოს, თორემ უარესი მოგივათ». თუმცა ვინაიდან მსოფლმხედველობა, რომლის ფარგლებში ოპერირებს ალასანია, არ უშვებს ალტერნატიულ, ნატოში გაწევრიანების იდეისგან თავისუფალი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, მას, საგარაუდოდ, ურჩევნია რუსეთის ქმედება წარმოაჩინოს, როგორც აბსოლუტურად ამბივალენტური, რომლის პროგნოზირება ამქვეყნად არავის შეუძლია.

მგლის თავზე კონსტიტუციის პიიხვა

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შემდგომში დაახლოვებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (რეალურმა და არა წარმოსახვითმა) შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ დაპირისპირება რუსეთთან, არამედ ახალი ომი მასთან და ახალი ტერიტორიების დაკარგვა, საქართველოში საკმარის ფართოდ გავრცელებულია. ამასთანავე, აშკარა გახდა, რომ ნატოს რიგი წევრების ფრთხილობა და მზად არ არიან საქართველოს ალიანსის წევრობა შესთავაზონ. გამორიცხული არაა, ახლო მომავალში მას, ისევე, როგორც უკრაინას, ნეიტრალიტეტსა და «ფინურ მოდელზე» დაფიქრებისკენ უბიძგონ. საკმარისი ბუნებრივია, რომ ამ ფრთხე ქართულ საზოგადოებაში «ნატო-სკეპტიციზმმა» იმძლავრა. ეს იმდენად საგრძნობი გახდა, რომ მთავრობას აღარ შეუძლია ამ ფაქტორის არსებობა უგულებელყოფს.

და ამ დროს, როდესაც მსჯელობა ამ თემაზე, ნატოს უფლის სამიტის მოახლოებასთან დაკავშირებით, სულ უფრო აქტუალური ხდება, სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელებულია ირაკლი ალასანიას განცხადება: «დღეს არსებული სიტუაცია, როდესაც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამინსტიის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაუხარჯოს». კომენტარების უმრავლესობის შეფასებით, თავდაცვის მინისტრმა, ფაქტობრივად, თქვა, რომ უნდა მომხდარიყო პოლიტპატიმრების დაყოფა მათი შეხედულებების მიხედვით და ნატო-ევროკავშირის მოწინააღმდეგეები ციხეში უნდა დაეტოვებინათ. ეს სრულიად უპრეცედენტო, ზე სკანდალური განცხადებაა და, თუ მისი ავტენტურობა საბოლოოდ დადასტურდება, პრემიერმინისტრი ან უნდა მკაფიოდ გაემიჯნოს მას, ან აღიაროს, რომ მთავრობაში ფაშისტური შეხედულებების მატარებელი უზის, რომელსაც კანონის უზენაესობა და დემოკრატიაზე წარმოდგენა არ აქვს.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14: «ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია გაწინააღმდეგ რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა

შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა». აქედან გამომდინარე, ადამიანების დახარისხება მათი შეხედულებების საფუძველზე (ამინსტიისთან თუ ნებისმიერ სხვა სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით) აბსოლუტურად შეუწყნარებელი, ანტიკონსტიტუციური და კანონსაწინააღმდეგო რამ არის. მსგავსი იდეები სააკაშვილსაც კი არ გაუხმობია, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური შიზოფრენიულობის ყველა რეკორდი მოხსნა. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, თქვას, რომ მიუფურთხებია ნატოსთვის, ფეხებზე პიკია ვეროკავშირი და იქ ინტეგრაციას ეწინააღმდეგება; მნიშვნელოვან არ აქვს, მოგვწონს ეს თუ არა, არანაირი სანქციების დაწესება ამისთვის არ შეიძლება.

იმის ნაცვლად, რომ აწარმოოს დისკუსია ნატოს მოწინააღმდეგეებთან და რეგულაციები უნდა დაიცვას თავისი პოზიცია, თავდაცვის მინისტრი, ფაქტობრივად, ნანობს, რომ ხელისუფლებამ ისინი ციხიდან გამოუშვა. ზოგადად, პოლიტიკა და ზნეობა ერთმანეთისგან საკმარის შორს დგას, თუმცა «ქართული ოცნების» არაერთი ამომრჩეველი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ საქმე ერთი აუწერელ უმადურობასთან ვაქვს.

საქმე ისაა, რომ 2008 წლის 5 იანვრის პლემსიტზე ამომრჩეველთა 23%-მა ხმა ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ მისცა. ექსპერტების დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ ავგისტოს ომის შემდეგ, ალიანსის ამჟამინდელი პასიურობის ფონზე, ნატო-სკეპტიციზმის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა დროებით დაფუძნდა, რომ ის უცვლელი დარჩა. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ამ ადამიანების დიდი უმრავლესობა სააკაშვილის რეჟიმის თანამდევრული, შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო და «ქართული ოცნების» გამარჯვებაში ძალიან სერიოზული წვლილი შეიტანა. გაცილებით დიდი, ვიდრე ირაკლი ალასანიას «ხუთპროცენტინაპარტია» (ისე, «ხუთპროცენტინაპარტია» რესპუბლიკურ პარტიას უწოდებენ ხოლმე, ალასანიას «თავისუფალი დემოკრატები» კი მასზე სუსტია). გამოვალკოთ «ქართული ოცნების» შედეგს საპარლამენტო არჩევნებში არა 23%, არამედ თუნდაც ამის ნახევარი და დარწმუნდებით, რომ ამ ამომრჩეველების მხარდაჭერის გარეშე კოალიცია, უბრალოდ, ვერ გაიმარჯვებდა.

რას აკეთებდა ამ დროს ირაკლი ალასანია? ის არ გაემიჯნა სააკაშვილის რეჟიმს არც 7 ნოემბრის სადისკურსო დარბევის, არც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაყვალბების შემდეგ, მხოლოდ ავგისტოს ომის შემდეგ, როდესაც ყველა მეტ-ნაკლებად წინდახედული ადამიანისთვის (მათ შორის ალასანიას ამერიკელი მეგობრებისთვის) ცხად გახდა, რომ სტრატეგიულ პერსპექტივაში რეჟიმი განწირულია, განუვლება მას. შემდეგ, 2010 წლის თბილისის მერის არჩევნებზე, მან მოუტანა სააკაშვილის მოწინააღმდეგე ძალებს ყველაზე სამარცხვინო (სრული უიმედობით გამსჯელებული) მარცხი მათი არსებობის ისტორიაში და იგივე უგულავას გამარჯვება მიულოცა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ამომრჩეველებზე უპრეცედენტო ზეწოლას ახდენდა. შემდეგ, 2012 წლის არჩევნებში ის დამარცხდა ზუგდიდში «ნაციონალის» ერთ-ერთ ყველაზე ოლიგარქულ წარმომადგენელთან – როლანდ ახალაიასთან, რომელსაც, საარჩევნო ტექნოლოგიების ერთ-ერთი სპეციალისტის თქმის არ იყოს, «პოლისჯოხიც კი მოუგებდა». ახლა კი ზის თავდაცვის მინისტრის სავარაუდოდ, სადაც ნატოს მოწინააღმდეგეების ხმების გარეშე ვერ მოხვდებოდა, იდეებს ყველაზე მაღალ ანაზღაურებას მინისტრებს შორის, პოლიტპატიმრების ამინსტიას აკრიტიკებს (სხვათა შორის, ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება აღმოაჩინოს შექარა მისი განცხადების ქვეტექსტში) და «მაღალ კონტრდაზვერვითი საფრთხეზე» საუბრობს. პრინციპში, შეგვიძლია ეს თემაც განვიხილოთ, მით უმეტეს, რომ «მან პირველმა დაიწყო».

ჯაშუშებს შვილობილთაზე ითვლიან

თუ ხვალ ვინმე გამოვა და იტყვის, რომ ირაკლი ალასანია რუსეთის აგენტია, ჩვენ იძულებულნი ვაგხვდებით, ეს ბრალდება სრული სერიოზულობით, დეტალურად განვიხილოთ. საქმე ის როდია, რომ იფიქრებდა უშიშროების აკადემიაში 1994-96-ში, იგორ გიორგაძის მინისტრობის წლებში, სწავლობდა, როდესაც, საყოველთაოდ გავრცელებული

აზრის თანახმად, რუსული გავლენა ქართულ სპეცსამსახურებზე განსაკუთრებით ძლიერი იყო და, აქედან გამომდინარე, ერთი ამბიციური მხმენელის გადაბირება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა. ეს არაა მთავარი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა შეიძლება იპოვოს აქ სივრცე მრავალფეროვანი სპეკულაციებისთვის. ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფია და დეტალირებული შეხედულებები მეორეხარისხოვანია – მსჯელობა «მაღალ კონტრდაზვერვითი საფრთხეზე» მისი მოქმედების შედეგებს უნდა დაეფუძნოს.

ირაკლი ალასანიამ გააკეთა მთავრობასთან შეუთანხმებელი განცხადება საქართველოში ნატოს ძალების განლაგების შესახებ, რითაც ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვას, ისევე, როგორც თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილმა და წყალი მოსკოველი «ქორების» წისქვილზე დაასხა; კონფრონტაციის ახალ რაუნდს კი შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი, ტერიტორიების დაკარგვა და ქართული სახელმწიფოებრიობის კრახი. ალასანიამ, აგრეთვე, შეუტია ნატოს მოწინააღმდეგე პოლიტპატიმრებს და, ძალიან ცუდად შენიღბულ ქვეტექსტში, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა საქართველოს მოქალაქეების დახარისხებას მათი შეხედულებების მიხედვით. პოზიცია, რომლის ფარგლებში, მოსახლეობის ნაწილი, (მაგალითად, ამომრჩეველთა 23%) განიხილება, როგორც უცხო ქვეყნის პოტენციური აგენტი, ცალსახად ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას და სამოქალაქო დაპირისპირებას, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უდიდეს ზიანს მიაყენებს. ორივე შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ აშკარად დესტრუქციულ შედეგებზე ახლო პერსპექტივაში, სწორედ ისეთ შედეგებზე, რომელთა მიღწევა შეიძლება უცხო ქვეყნების აგენტს უნდოდეს.

აქ ალბათ, უნდა დავსვათ კითხვა: ვინ არის «მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის» შემცველი ელემენტი – ნატოს მოწინააღმდეგეები, რომლებიც, ფინელებისა და ავსტრიელების უმრავლესობის მსგავსად, ღიად აფიქსირებენ თავის შეხედულებებს კონსტიტუციური უფლებების ფარგლებში, თუ ირაკლი ალასანია, რომლის მოქმედებამ შეიძლება ქვეყნის რუსულ ბიომბლამშენებზე დიდი ზიანი მიაყენოს? ამ ორს შორის ვინ უფრო ჰგავს უცხო ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოქმედ აგენტს?

ასე რომ, თუ ხვალ ვინმე გამოვა და იტყვის, რომ ირაკლი ალასანია რუსეთის აგენტია, ხოლო მისი კადრები თავდაცვის სამინისტროსა და პარლამენტში «მეზოუ კოლონაა», ამ თემაზე, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, ძალიან სერიოზული მსჯელობა მოგვიწევს.

სავა თუ ისე, საერთო სურათი საკმარისი მიმედ გამომიყურება. ირაკლი ალასანია:

- ა) აკეთებს ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებელ განცხადებებს, რომელთაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს, რაც ძალიან ჰგავს ეროვნული უსაფრთხოებისთვის აშკარა საფრთხის შემქმნას;
- ბ) თავისი განცხადებებით ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების დახარისხებას მათი შეხედულებების მიხედვით, რაც შეუწყნარებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში;
- გ) საუბრობს «კონტრდაზვერვითი საფრთხეზე» მოქალაქეთა ჯგუფის მიერ კონსტიტუციური უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, რითაც, ფაქტობრივად, ხელს უწყობს «კუდიანებზე ნადირობის» ატმოსფეროს დამკვიდრებას, სააკაშვილის რეჟიმის ტრადიციების შესაბამისად;
- დ) მჭიდრო კონტაქტში და, შესაძლოა, ფარული კონსულტაციების რეჟიმში იმყოფება რეჟანშზე მეოცნებე «ნაციონალების» ხელმძღვანელ რეკლამთან, რომელსაც არაერთჯერ მიანიშნა ბიძინა ივანიშვილმა;
- ე) მუდამ ეჯობება პრემიერმინისტრს და, შესაძლოა, განეგბ ცდილობს, დააქინოს მისი ავტორიტეტი (ეს უკანასკნელი, პრინციპში, ირაკლი ღარბიანის პრობლემაა და არა საზოგადოების, მაგრამ მანინც).

ისმის კითხვა: კიდევ რამდენ ხანს აიტანს ყოველივე ამას ირაკლი ღარბიანის? თუ ის არაფერს შეცვლის და ალასანიას არ შეაჩერებს, მაღე, სავარაუდოდ, სუსტი ლიდერის იმიჯს დაიმკვიდრებს.

დომიტი მონიაკა

ქვირფასო მკითხველო, ბატონ ედუარდ ივროსას ნაშრომზე – “გემორბიული ტიპი” მიძღვნილი ზოგადკაცობრივ პოეზიაზე – მეტყველებისა და აზროვნების ჩასახვა, წარმოქმნა-განვითარება მიღებული აქვს რეცენზიები ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტებიდან, რომელსაც ხელს აწერს ცხრა დოქტორი – მეცნიერების აღიარებული მოღვაწეები. ამ რეცენზიებზე აბასუსო წერილები დაიბეჭდა გაზეთ “ილორი” 261, და მომდევნო ნომრებში, სადაც ავტორი მიუთითებს რეცენზიების ტენდენციურობაზე, ზოგიერთ ხარვეზებზე და არაობიექტურობაზე. ამავ საკითხს მიუძღვნა ავტორმა ახალი ნაშრომი “პოლემიკა”, რომელსაც მკითხველს დიდი სიამოვნებით ვთავაზობ.

ისტორიკოსი – სრულიად განსხვავებული პროფესიიდან გამომდინარე, ჩემთვის, ასე ადვილი არაა ყველაფერი სწრაფად და მარტივად გავიგო, ამიტომ, ჯერ-ჯერობით ვერ დაგეთანხმებით: თუ ბგერას ფიზიკური გამოყოფა ანუ ასოცირებულია ამ ფიზიკურში, მთლად ნათელი არაა, როგორ შეიძლება ამ ბგერამ პირობითი რეფლექსი გამოიწვიოს, თუკი უპირობო რეფლექსი ისევეა მიმდინარეობს.

ფიზიოლოგი – პავლოვის ცდებით დადგენილია: თუ საკვების მიღებას, მრავალჯერ, ნებისმიერ კონკრეტულ ბგერას შევუხამებთ, ამის შემდეგ, ამ ბგერის გაგონება ორგანიზმში გამოიწვევს იმ ცვლილებებს რასაც საკვების მიღება იწვევდა. ზემოთ, ჩვენს მიერ აღწერილი შემთხვევაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბგერა ბუნებრივად ფიზიკურ შეფუთვებში, პომინიდის ჯოგის მსიერ-მწკრივად ინდივიდებში წოვა-ყლაპვის ხმანობების გაგონება ან დანახვა აღნიშნული პროცესისა, უწყვეტია, სწორედ, აქვეთქმულია, პირობითი რეფლექსებს გამოიწვევდა და ეს მოხდებოდა ინდივიდებში და თაობებში პომინიდისა უსასრულო ხშირად. მინდა დავძინო და ხახი გავსვა იმას, რომ აქვეთქმული ფაქტობრივი მონაცემებია და არა საკუთარი მოსახრებები, როგორც ეს პატივცემულ ფსიქოლოგებს, მცდარად, წარმოუდგენიათ.

ანტიროლოგი – საინტერესოა, როგორც წარსული, ეს მოვლენები როგორ უნდა ასახულიყო პომინიდის თავის ტვინში?

ფსიქოლოგი – ძუძუმწოვრებში, წოვა-ყლაპვასთან (ნივთიერებათა ცვლასთან ანუ საჭმლის მიღების პროცესთან და მასთან დაკავშირებულ სისტემასთან) ასოცირებულ ისეთ მოვლენებთან როგორიცაა: წყურვილის, შიმშილის, წყურვილის დაკმაყოფილების და გაძღობის ორგანიზმული რეაქციები თუ ემოციური რიგის მოვლენებად არ ჩავთვლით (ნეობიპეიორისტები), ერთი მხრივ ცხადია: მათ ინტენსივობაზე უშუალოდ დაბოკირებული, მოთხოვნის დაკმაყოფილებით გამოწვეული, სიამოვნება-უსიამოვნების ინტენსივობა: ორგანიზმული რეაქციები ერთიანი არიან ემოციური გენეზისის განცდებთან.

ბიოლოგი – მათ ერთმანეთთან აახლოებთ “მჭიდრო კავშირი ინდივიდის ბიოლოგიურ ანუ ვიტალურ მოთხოვნებთან, ეს უკანასკნელი კი, წარმოქმნებიან ორგანიზმის პომეოსტაზის

შრიად აქტუალურ საკითხებზე

იმდგვარო რეფლექსს, როცა სისხლში საკვებ ნივთიერებთა პროცენტული რაოდენობა კლებულობს”.

სმარტოლოგი – უზნაობის განწყობის თეორიის თანახმად (განწყობის არსებობა აღმოაჩინა გერმანელმა ფსიქოლოგმა ლ. ლანგემ. 1888 წ.) მოთხოვნილება განაწყოებს პომინიდს ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხოლო შესაბამისი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, (მშვიდ-მწყურვალ პომინიდის არსებობა) განხორციელდებიან შესაბამისი ქმედებები ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ანუ წოვა ყლაპვის შესასრულებლად. გარდა ამისა, დასახელებულ წოვა-ყლაპვის ფიზიკურ თან ახლავს სხვა მოვლენებაც – შეხების, ტემპერატურის, მხედველობის სქენის და ინტერმოდალური თვისობრიობის – გემოს და ყნოსვის შეგრძნებები.

ყველა ზემოაღნიშნული შეგრძნებათა განცდები და შეგრძნება-ეპოციათა საერთო განცდები ერთიანი არიან, რადგან ერთ მოვლენაში – საკვების მიღების ფიზიკურში არიან შერწყმულნი.

ფიზიოლოგი – მაშასადამე, ნებისმიერ მათაგანს შეუძლია პირობითი რეფლექსის გამოწვევა და, რაც მთავარია, ამას აკეთებს ხშირად (ბგერა). გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია, რომ ბგერა შეუძლებელი ფიზიკურ უპირობო რეფლექსით გამოწვეულ, ზემოთხსენებულ შეგრძნებებსა და ეპოციებს.

სმარტოლოგი – ბატონო ფიზიოლოგი, ფიზიკურის მსველელობისას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიღებულ, აღწერილ მოვლენების ინფორმაციებზე, ფიზიოლოგიურ ასპექტში, თქვენ სწორად მიუთითებთ, მაგრამ ფსიქოლოგიურ ასპექტში კი ისინი არა როგორც ბოქლომის გახსნა უცვლელად, არამედ ფუნქციონალურ მონაცემებად “ჩაიბეჭდებიან და ინახებიან. ამ უკანასკნელ ფსიქოლოგიაში, გარდა ზემოთქმულისა (შეგრძნება, ემოცი), შესაბამისი ფუნქციები: “აქტა”, “წარმოდგენა”, “მეხსიერება”, “დავიწყება”, “ყურადღება” შეესაბამებათ, რომელიც ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდება. აღნიშნული ფუნქციები გახსნავეთ ავტორის უსშირესი გზავნილები, ამიტომ მასზე ბრალდებები (ფიზიოლოგიაში და ბიოლოგიაში ავტორის წარმოდგენების ბუნდობრიობის თაობაზე) ხომ არ უარგვეს?

ფიზიოლოგი – გეთანხმებით, მაგრამ ლიმონს ბოლო წვეთი რომ გამოწვრილ, ხელი მაგრად უნდა მოუჭირო.

სმარტოლოგი – სწორია: უსაშველო ტვირთით დახუნდულ ლურჯას შუბლზე ვინ კოცნის, მას, საცოდავს გვერდებს სახრით უხელენ. ხა... ხა... ხა... (საერთო ხარხარი...).

ფიზიოლოგი – დაეუბრუნდეთ საკითხს. კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხახი იმას, რომ ზემოთქმულ თვალსაჩინოდ აღქმად სენსორულ თვისებათა შორის მოვლენისა ბგერა თანამონაწილე. შერწყმულია მათში როგორც ნიშანდობლივი თანაზიარი თვისება და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამგვარი შერწყმა შეუძლებელი შედეგად პირობითი რეფლექსი გამოიწვევა.

ბიოლოგი – ბგერით ინსპირირებული პირობითი რეფლექსის გამოწვევა ხომ წყურვილ-შიმშილის შეგრძნებების და მათთან შერწყმულ უსიამოვნებას, როგორც ემოციის ინტენსივობის გაძლიერებაა, რაც ასოციაციებით ბიოლოგიური მოთხოვნილების – იგივე უპირობო გამოვლიანებულთა (რძე, წყალი) წარმოდ-

გენების აღზევებაში გადაიხრდება. **ანტიროლოგი** – აღმანიებში, გეთანხმებით, ეს ასეა, მაგრამ, ვინ იცის, ძალუდა კი წარმოდგენის ფსიქოლოგი პომინიდს?

ანტიროლოგი – პომინიდს ყოველ მიზეზს გარეშე, ძალუდა. ოღონდ პომინიდები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ: “...მორგანმა გამოყო სამონადირეო-სამეთევზეო და მიმთვისებელურ-შემგროვებლური მუშაობის სამი საფეხური: მისი უმაღლესი საფეხური იწყება უძველესი ადამიანის წარმოქმნით, შუა – მონადირეობის წარმოქმნითა და ცეცხლის აღმოჩენით, ხოლო უმაღლესი – მშვილდ-ისრის გამოგონებით...” დასახელებულია... ორი ნახტომი (როგინსკი): პირველში ხდება პომინიდების ოჯახის ფორმირება. მეორეში – თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება...” (იხ. “პირველი საზოგადოების ისტორია” გვ. 7 და 31). გარდა ამისა: “...სინანტროპის თავის ქალას ღრუს საფეთქლის უკანა ნაწილში და საფეთქელ-თხემ-კეფის მიდამოში შემჩნეულია გამბოზურცვლობები რომელშიც მადამოშიც თანამედროვე ადამიანის თავის ტვინში განლაგებულია სწორი მეტყველების სამმარველო ცენტრები (რაც), შესაბამისად, მოასწავებს მაღალ დონეს მისი დანაწევრებული მეტყველებისა და აზროვნების...” (იქვე).

ანტიროლოგი – მაგალითი ავტორისეული პრაქტიკიდან: ჩვენთან შინაური ცხოველები ყავთ თავისუფალ ყოფით პირობებში, ამიტომ მათზე დაკვირვება ნებისმიერ შემთხვევაში, ძროხას, ჩვეულებრივ, საჭმელს ქებათაც აძლევს: საკვების თქველვისას მეტალის სახელურის ჩხარული შეუძლებელია კვების უპირობო რეფლექსებთან გამოვლიანებლებს და სუსტად იგივე მოვლენები ვითარდება, როგორც წოვისას პომინიდის შემთხვევაში: აქაც წოვისას წარმოქმნილ წ და ყ ბგერათა სადარ ხშირობათა მსგავსად სახელურის ჯღარული პირობითი რეფლექსის გამოწვევია, რისი დასტურიც ამ ჯღარუნზე რითაც გარეთ მყოფ ცხოველს პატრონი ეზოში მიუხმობს, ცხოველის რეაქცია: იგი გამობრის ამ ხმათა მიმართულებით, თუკი რომ ქვას ვერ ამჩნევდეს. დამეთანხმებით, ცხოველი ასე არ მოიქცეოდა ამ ხმებს მასში, წინანდელი, ქვამში საკვების და კვების პროცესში ასოცირებული მოვლენათა თვალსაჩინო აღქმები არ გავცოცხლებინა ანუ მისი წარმოდგენები არ აღზევებულიყვნენ. თუ საკვები მუდამ მისთვის განკუთვნილ, როგორც სახელურის უღარუნით ასევე ფორმით ნაცნობ, ამიტომ პირობითი რეფლექსების აღდგენა, ქვამში კი არა, არამედ განსხვავებულ, მაგრამ ერთი მხედველობითი ვედის სიმორეზე განთავსებულ – მეორეში, ცხოველი მაინც პირველთან მიიბუნს და თავს შივ ქვამში ჩაყოფს.

მიუხედავად გვერდითი მხედველობის ვედის არეში არსებობისა, ცხოველს გარკვეული დრო ჭირდება რათა ეს მეორე ქვაბი შეამჩნიოს და მასთან მივიდეს: ჯერ უნდა გაქრეს ფარული მეხსიერებიდან აღმოცენებული, ის აღქმითი ხატების წარმოდგენები, რომელთა ბადალიც ჩვენ, აქვე, ზემოთ, ბოლო კონტექსტებში, პომინიდის წოვა-ყლაპვასთან დაკავშირებით აღწერილ და რომელთა პომინიდში განხორციელების უტყუარ მტკიცებულებას ავტორის ცხოველთა ფსიქოლოგიაზე დაკვირვების ეს მაგალითი წარმოადგენს.

სმარტოლოგი – აი, ის, ენის ბუნებრივად წარმოქმნისთვის აუცილებელი “უშუალო თვალსაჩინება”, რომელიც ვ. ვუნდტის შეხედულებით, შეუძლებელია არსებუ-

ლიყო. იგი ხომ მეტყველების წარმოქმნის საკითხში, უესტ-მიმიკას აძლევდა უპირატესობას, ჩვენს შემთხვევაში კი მთავარია: ბგერა ახორციელებს პირობით რეფლექსებს და ცხოველშიც კი იძლევა წარმოდგენას.

არქეოლოგი – “...შრომა, პირველი ძირითადი პირობაა კაცობრიობის ცხოვრებისა, და სხვათა შორის იმ ხარისხში, რომ ჩვენ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ: შრომამ შექმნა თავად ადამიანი...” ფ. ენგელსი, “ბუნების დიალექტიკა”. მ. 1969 გვ. 144. თარგმანი ე. ი. გარკვეული თვალსაზრისით, ბრძანებს ენგელსი და ეს სწორია, რადგან შრომამ მართლაც განავითარა მეტყველება და თავად ადამიანი (მხედველობაშია მორფო და სოციოენეზი);

ისტორიკოსი – მაგრამ მისმა თანამოაზრებმა აღიშნული თეზა არა ხატოვან ანუ ფიგურალურ ნათქვამად, არამედ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად დასახეს, რაც არასწორია. ახლა კი მომავს ციტატა ქ. ს. ენციკლოპედიიდან: “...მარქსამდე ცნობილი იყო ადამიანის განსახლების მრავალი ცდა: ადამიანი არის ეთიკური არსება (სოკრატე, პლატონი); ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი (არისტოტელე); ადამიანი არის შუამდებარე არარასა და ყველაფერს შორის (პასკალი); ადამიანი არის მანქანა (ლაპეტრი); ადამიანი არის მთლიანად კაცობრიობა (გოეთე); ადამიანი არის ბუნების მიზანი და არა საშუალება (კანტი) და სხვა. ამ განსახლებებში მოცემული თავისებურებანი მართლაც არის ადამიანისთვის სპეციფიკური, მაგრამ არსებითი არ არის... ადამიანის ნამდვილი არის განსახლება – შრომის იარაღების შექმნის უნარი და მათი საშუალებით გარემოზე ზემოქმედება... ადამიანის საზოგადოებრივი ისტორიის წინ უძღვდა ბიოლოგიური ევოლუცია: ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აღნაგობის ცვლადობა, შრომითი საქმიანობის ჩანახსები... ჯოგურ ურთიერთობათა განვითარება ავტოცელელებში... ადამიანი ეკუთვნის ძუძუმწოვართა კლასის პრიმატების რიგის პომინიდების ოჯახს... უძველესი პომინიდი უთუოდ ფართოდ იყვნენ გავრცელებული მესამეული პერიოდის მეორე ნახევარში ევრაზიასა და აფრიკაში. 1959 წ. აღმოჩენილი ავსტრალითიკური ფორმის თავის ქალასთან ერთად იპოვეს პრიმიტიული იარაღი: ჩლიქოსანთა წამახული ძვლები და წაწკრულებული რქები. ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო, ანთროპოგენეზის საკვანძო მომენტია... აპითეანტროპის საფეხურზე შრომის იარაღების სისტემატურმა დამზადებამ (და გამოგონებამ) გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღმოცენების საფუძველი, რასაც უთუოდ უკავშირდება... თავის ტვინის ერთიორად გაზრდა ავსტრალითიკის ტვინთან შედარებით... (შეიქმნა ე. ი.) “ე. წ. ქვის ხანის შულის კულტურა”. ქ. ს. ენციკლოპედია გვ 79-80. ავტოცელე... ენგელსის ენის წარმოქმნის თეორია საშუალებას გვაძლევს დავახსოვროთ მისი წარმოქმნის დრო, როცა განხორციელდა ძველი ადამიანის შრომის იარაღების, როგორც ფორმის ასევე დანიშნულების უნიფიცირება... ა. ვოლკოვი, ი. ა. ხაბაროვი. “...მეექვსე მსოფლიო გამოცანა...”

(გაგრძელება იქნება)

დავით ქითანავა

კოემა გვანჯი ჩიქოვანზე

ათასკაციან სუფრაზე ყველა მისი მსმენელია, სხვათა გულის მოსაგებად მუდამ მოუწყენელია, გარეშემოთ სხივებს აფრქევს, თვით ჩრდილომუფენელია, თვით ყველასგან ფასდებული, ყველას პატივმცემელია. ამდენ გულებს რაფერ იპყრობს, კაცია თუ მისანია, ზედმეტს არას მოგახსენებთ, არ მაქვს კერძო მიზანია. არც სარგებელს გამოველი, არც ვარ მისი ხიზანია, მხოლოდ ვამბობ, რაც მინახავს, რაც მჯერა და მინამია. რა დროებაც არ მოვიდეს, გვანჯის ეს სულ არ აღონებს, საითაც სჯობს, თავის ქცევას შეუხამებს, შეუწონებს: უფროსები ხელში ჰყავს და უმცროსები თავს ამონებს. არსამენელს არ ისმენს და ყურს მიუშვებს გასაგონებს. ან ქალებს რომ აჯადოებს?! – უნდა ითქვას აქ მართალი! ვერაფრით ვერ დაუსხლტება, თუ დაადგა ერთხელ თვალი. ქერივ ქალებთან სახლოვე მიაჩნია, როგორც ვალი, ბევრი გვანჯის მზეს ფიცულობს, მისი გულის დედოფალი. ქმრიანებთან ფრთხილია და ქერივებს უფრო ეტანება,

თორემ ბევრს არ ეხერხება მის წინაშე გამაგრება. შეხედავს და... ქალს ლოყებზე ვარდ-ფურცელი ეფინება, ისეთ სიტყვას გადაუდგებს, მტერსაც რომ არ ეწყინება. ქალი – გვანჯის შემხედვარე – ვეღარ თოკავს თავის ვნებებს, ერთხელ ფიქრში თუ ჩავარდა, უმისოდ ვერ იარსებებს. ვიდრე გულზე გულს მიადებს, ბაგეს ბაგეს მიაწვებს, მანამდე არ დანყნარდება, მანამდე არ მოისვენებს. რომელ ქალაქს მიადგება, მას ლოგინი ყველგან ელის, ელიან და ნატრულობენ ქალაქია თუ სოფელი, ყველგან უცდის თვალ-ფუფუნა, მისი გულის სანადელი, გულს არ დასწყვეტს არც ერთ ტურფას, სადაც მიუწვდება ხელი. ქალებთან ვარ უკაცრავად, რომ ვახსენე ცოტა „ისე“... ლექსს უთქვენოდ ვით ექნება სითბო, სიტყბო, სიხალისე, თქვენ შეუთეთ ამ ქვეყანას ტრფობის ცეცხლი მოგიზიგებ, მიტომც მართებებს ლექსის ოსტატს თქვენთან მეტი სიფაქიზე. და თუ ვინმეს მოგეწონათ ჩემი ლექსი სამიჯნურო, კარი მუდამ ღია მაქვს და მზად ვარ ყველას ვემსახურო;

შესარიგი – შევარიგი; დასამდური – დავამდური; ჩასაქრობი – ჩავაქრო და ასანთები – გავახურო. თუ ვინმეს გსურთ, აგერა ვართ მე და ჩემი ლექსის ქისა, უკადრებელს არას გკადრებთ, არ მამია თავი ხისა. კარგზე კარგი რომ არა ვთქვა მაქნისი ვარ აბა რისა? ჩემზე უკეთ არვის ძალუძს მოშორება კაემნისა. მეც ვამთავრებ გვანჯის ამბავს, თუმც ღირსია მეტი წერის, სხვა ვინაა ამისთანა, სანატრელი ბედისწერის, საჭირო და სარგებელი საყვარელი ყველა ერის, მისი სიტყვა, მისი რჩევა ყველას სურს და ყველა ელის. სიტყვას იტყვის – სიტყვაკაზმულს თავის მიზანს არ აცდება, უმისოდ კარგი საქმე, არაფერი არა ხდება. გულმეჭირვულს ერთს ეტყვის და კაცი უცებ გალადდება, რა საქმეშიც არ ჩარიო, ხელთ გიჭირავთ განადდება. უკადრებელს არა გკადრებს, იცის თავის დაფასება, ყველგან მორიგ-მოთავა, ჭირია თუ დაბადება. საქმე მეტად ჩახლართული, თუ კი ძნელად გადანყდება, ერთს იტყვის და მოათავებს, არ სჩვევია გადადება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“ნაციონალური მოძრაობის” ტაქტიკაა – როდესაც უხერხულ მდგომარეობაში არიან, ტერმინებზე იწყებენ ხოლმე ღამას.



მაგალითად, “ნაციონალური” ამტკიცებენ – დეპუტატები ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ბაქოს აეროპორტში არ დაუკავებიათ. კი ბატონო, ნადირაშვილისთვის და ჯაფარიძისთვის ხელები არ გადაუგრიხათ და გალიაში არ შეუგდიათ. არ დაუკავებიათ, ახერბაიჯანელმა მებრძოლებმა უბრალოდ შეაჩერეს, რადგან ამ ქვეყანაში საქართველოს ელჩის თემურაზ შარაშენიძის ინფორმაციით, მათ არადეკლარირებული მილიონი დოლარი ჰქონდათ.

ალბათ, ამ შეჩერებასაც უარყოფდნენ, ელჩს ოპერატიულად რომ არ ემოქმედა და ახერბაიჯანელი მებრძოლების გარემოცვაში მყოფ ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს თავზე არ დადგომოდა.

ისე, სჯობდა, ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს ირაკლი შიხიაშვილისთვის მიებაძათ და ეთქვათ, რომ დიდი ფული საქველმოქმედო მიზნებისთვის სჭირდებოდათ. ასეა თუ ისეა, ფაქტია – ახერბაიჯანი ყოფილი მმართველი პარტიისთვის კარგად გატკეპნილი გზაა, ერთხელ მოჰყვა კიდევ მიხეილ სააკაშვილი, როგორ ეზიდებოდნენ ტომრებით “ნაციონალური” “ქეშს” ბაქოდან.

“ნაციონალური მოძრაობა” არ არის მხოლოდ ერთი, ცალკე აღებული პარტია. მას ჰყავს უამრავი სატელიტი ორგანიზაცია, დაწესებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული მოძრაობებით თუ მედიასაშუალებებით დამთავრებული. პარალელურად, დღეს საქართველოში საარჩევნო მიმღე პერიოდია. ამ ყველაფერმა რომ იმუშაოს, საჭიროა დიდი ფული,

იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ერთი მილიონი დოლარია.

ძველი დრო რომ იყოს, იცოცხლე, ბიზნესმენებს მიატანინებდნენ მილიონობით “შემოწირულობებს”, ვინც უარს იტყობდა, მათთან პროკურატურა-ფინანსური პოლიცია ჩაატარებდა ახსნა-განმარტებით სამუშაოებს. თუმცა დღეს “ნაციონალურებს” გაუჭირდა – მსხვილი შემოწირულობები აღარ ჰყავს, მთავარი სპონსორი კეხერაშვილი კი ინტერპოლით იძებნება.

უფრო ხუსტად, ფული კი არ არის პრობლემა, არამედ ის, თუ როგორ უნდა მოხედეს თანხა “ნაციონალების” საღაროში. თუ ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს “შავი მილიონი” მართლაც ჰქონდათ, მაშინ ყველაზე რეალურია ვერსია, რომ ეს დავით კეხერაშვილის ფულია.

ამ ვერსიის თანახმად, არ არის გამორიცხული, რომ კეხერაშვილი ფარულ ბიზნესწილებს (ანუ მისი წილები გაფორმებულია ე.წ. ცრუ მეწილეებზე) ინარჩუნებს საქართველოში და აგრძელებს “ნაციონალურებს” დაფინანსებას. თუმცა იმ ბიზნესმა, რომელსაც კეხერაშვილი აკონტროლებს ან წილებს ფლობს, აშკარად რომ დაიწყო სააკაშვილის პარტიის დაფინანსება, ეს უკვე ადრევე და შესაბამისი ორგანოების დაინტერესების შემთხვევაში “კეხერას” კვალსაც მიაგნებენ.

ამ ვერსიის თანახმად, იკვრება წყე – ფული მიდის ოფშორებში და იქიდან ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს სახით ახერბაიჯანიდან ბრუნდება საქართველოში.

ეთქვათ, ეს ფული არ არის “კეხერას” “ქართული ბიზნესიდან” და მან რომელიმე ძველი ანგარიშიდან მოხსნა თანხები “ნაციონალურებს” დასაფინანსებლად. სააკაშვილის პარტიის დაფინანსების ერთადერთი გზა მაინც “ქეშად” შემოტანაა, რადგან მსხვილი თანხების სახდვარ-გარეთიდან გადმორიცხვა და შემდეგ მისი “ნაციონალების” ჯიბეში მოხვედრა, ასევე ადრევე უკვე.

თუ ეს ვერსია დადასტურდა, მაშინ “ნაციონალურებს” კურიერები კარგად შეუწრევიან ნადირაშვილისა და ჯაფარიძის სახით. ისე, თქვენს მონა-მორჩილ მართლაც აინტერესებს, ბოლო თვეებში ოფიციალური თუ არაოფიციალური ვიზიტით “ნაციონალური” რამდენჯერ იმყოფებოდნენ ახერბაიჯანში.

ბიორბი კვიციანი

აქედან გამომდინარე, იბადება 7 კითხვა ზურაბ ჯაფარიძისა და ირმა ნადირაშვილის მიმართ, რადგან დეპუტატების მონათხრობს “მოკლე ფეხები უნანს”.

პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ოპოზიციონერ კოლეგებს, ზურაბ ჯაფარიძესა და ირმა ნადირაშვილს 7 კითხვით მიმართავს.

შეკითხვებს სესიაშვილი სოციალურ ქსელ “ფეისბუქში”, საკუთარ გვერდზე აქვეყნებს და განმარტავს, რომ ბაქოს აეროპორტში მომხდარი ინციდენტის შესახებ ჯაფარიძისა და ნადირაშვილის მონათხრობს “მოკლე ფეხები უნანს”.

“უბრალოდ (რბილად რომ ვთქვათ) კითხვები მიჩნდება და საინტერესო იქნებოდა ჩემს კოლეგებს პასუხი გაცეცათ:

1. რატომ წავიდნენ ჯაფარიძე და ნადირაშვილი ახერბაიჯანში კოლეგებთან მარნეულსა და გარდაბანში განვითარებულ მოვლენებზე სასაუბროდ? ეს რამე ახალი გზა გასაჩივრების? მე როგორც მასსოფს, ძირითადად ვეროკავშირის ქვეყნებს ვითვლით ხოლმე არჩევნებში გარკვევას...

2. რატომ წავიდნენ ახერბაიჯანში ჯაფარიძე და ნადირაშვილი (ანუ გაჭივს ხარჯი), მაშინ როდესაც იმავე პერიოდში ახერბაიჯანში იყვნენ მიხეილ მაჭავარიანი და გიორგი ბარამიძე... მათი ეს ორი კოლეგა ნაკლებად შეძლებდა ახერბაიჯანელ კოლეგებთან საკითხებზე საუბარს?

3. ცოტა არ იყოს უჩვეულოა ახერბაიჯანის მებაჟე უმიზეზოდ გააჩეროს მოქმედი ერის დეპუტატი დიპლომატიური პასპორტით, მხოლოდ იმისთვის, რომ პირი სახეზე არ მოეწონა და იმდენი ელაპარაკოს “რადაცაზე”, რომ რეისს ვეღარ მიუსწროს? ასეთი მებაჟე მე არ შემხვედრია ახერბაიჯანში, რომლის მიმართაც პრეტენზია, როგორც ჩანს, ჯაფარიძეს არ გააჩნია და მადლობას უხდის რომ ზრდილობიანად გამოაცილეს...

4. ჯაფარიძეს როდემდე იყავს არაქონია და მიუხედავად იმისა რომ “უსაფუძვლოდ” გააჩერა და დააყოვნა მებაჟემ, უპრობლემოდ ახალი ბილეთები შეუძენიათ ჩემს კოლეგებს. რა პრობლემაა?

5. როგორ წარმოვიდგინათ სცენა, ვიდაც მებაჟის არასწორი ქმედების გამო დეპუტატი ვერ ბრუნდება სახლში, ახალ ბილეთს ვიდულობ და “გამორბიხარ ისევე ქალაქში

(გზას აეროპორტიდან ცენტრამდე დაახლოებით 40 წუთი სჭირდება) ყავის დასალევად...

6. თუ არაფერი საქველ არ ყოფილა აეროპორტში, რატომ გამოიხატეს საქართველოს ელჩი აეროპორტში? ის უნდა ეთქვათ რომ თქვენი დეპუტატები უსაფუძვლოდ დაგვაყოვნეთ და პრობლემები შეუქმენით?

7. მე ვითვლი ჩემს კოლეგებს დაასახელონ კონკრეტული დროები მათი ამ ინციდენტის წარმოქმნის, ასევე ის პირები, რომელთაც ხვდებოდნენ და ადგილები, სადაც შეხვედრები იმართებოდა და განსაკუთრებით ის კაფე, სადაც ყავა მიირთვეს. იმედია, ვიდულობთ ბაქოშიც არსებობს. კოლეგებო, პროკურორი არ ვარ, უბრალოდ რასაც თქვენ ყვებით იმას, მოკლე ფეხი უნანს”, – მიმართავს სესიაშვილი ოპოზიციონერ კოლეგებს.

ახერბაიჯანში საქართველოს ელჩის თემურაზ შარაშენიძის ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის წევრები ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ახერბაიჯანელ მებაჟეებს გუშინ დაახლოებით სამსაათიანი შეხვედრა-ოთხი საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული და შიდა მოკვლევის შემდეგ გაათავისუფლეს.

“ისინი დაკავებულები ან პატიმრობაში აყვანილი არ ყოფილან. ჩატარდა შიდა მოკვლევა, რაც გაგრძელდა დაახლოებით სამსაათიანი შეხვედრა-ოთხი საათი, რის შემდეგაც ისინი გაუშვეს. იმტომ იყვნენ გაჩერებულები, რომ ჰქონდათ არადეკლარირებული დიდი რაოდენობით თანხა. ჩატარდა მოკვლევა და ახერბაიჯანული კანონმდებლობის შესაბამისად, გაათავისუფლეს”, – აღნიშნა შარაშენიძემ.

კიდევ ერთხელ ჩაუვარდათ კოეზი ნაცარში ბინძური პოლიტიკური მეთოდებით მოქმედ ნაციონალებს, რადგან დიდძალი ფული დაჰკარგეს, რაც არჩევნების გასაპირებლად ჰქონდათ გახაზირებული.

ახლა ვეღარ გადაუხდიათ “ქეშს” სულ-გაცივდეს არამზადა არასამთავრობოებს და “თავისუფალი ზონის” აქტივისტებს, რომლებიც მზად არიან ფულის სანაცვლოდ თავი გააღახვიონ ნაცთა მომუშავე ნებისმიერ პატრიოტს!

4 ბომბა, 9 წითელი ვარდი და სპა-სალონები მასაჟისტისთვის – ბარამიძეს ეპრობაირამობის ხარჯებს უძველესი

მაშინ, როდესაც ხელისუფლებიდან ოპოზიციისადმი გადაბარებული “ნაციონალური მოძრაობის” წევრები მმართველი კოალიციის წარმომადგენლებს მაღალი პრემიებისა და ბიუჯეტური თანხების არამიზნობრივი ხარჯვის გამო აკრიტიკებენ, არცერთი მათგანი საუბრობს სააკაშვილის ხელისუფლების ჩინოვნიკთა მიერ “შეჭმულ” საბიუჯეტო თანხებზე.

ჟურნალისტიკა ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2011-2012 წლებში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემოწმება დაასრულა და მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის – გიორგი ბარამიძის სკანდალური ხარჯები გამოავლინა. ანგარიშში ასახულია გიორგი ბარამიძის მიერ, საკუთარი ბრძანებით, კანონდარღვევით, გამოწვეული პრემიები, მივლინებები საქართველოს სახელით აშშ-ში, გერმანიაში, ჩეხეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, მოლდოვასა და ბელგიაში, იქ სპა-სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში მასაჟისტისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული ათასობით ლარი; კვივის ღამის ბარებში ნაყიდი 9 ცალი წითელი ვარდი და სხვა ყველა იმ ფაქტის ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აპარატის მუშაობა უარყოფითად შეაფასა. გახეთმა ვერ გაარკვია, რა ვადებში გადაეცემა შემოწმების მასალები პროკურატურას და რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი.

შესაბამისი სამსახურები ბალანსის შესადგენად სახაზინო პროგრამას იყენებდნენ. აღრიცხვიანობის უქონლობის გამო,

როგორც აპარატში, ასევე ცენტრში, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე, ეფექტური კონტროლი არ ხორციელდებოდა.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ქვეთავი გახლავთ მივლინების ხარჯები.

2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდში, აპარატმა “მივლინების” ქვე მუხლით, 988 200 ლარი გახარჯა. მათ შორის, 2011 წელს, ქვეყნის შიგნით – 26 917 ლარი, ქვეყნის გარეთ – 486 037 ლარი, ხოლო 2012 წელს, ქვეყნის შიგნით – 36 506 ლარი, ქვეყნის გარეთ – 438 838 ლარი. ქვეყნის შიგნით მივლინებების დროს, მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე დანაშაულის გაცემის ფაქტებიც დაფიქსირდა, რასაც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის 231 ბრძანებულება არ ითვალისწინებს.

როგორც გახუთი წერს, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, შესაბამის ბრძანებებში განსაზღვრული არ არის მივლინების მიზანი და აუცილებლობა, სახდვარგარეთის ქვეყნებიდან მიწვევები წარმოდგენილი არ არის, რაც ვიზიტის მნიშვნელობასა და საჭიროებას დაადასტურებდა. მივლინებულ პირებს, მივლინების პერიოდში განხორციელებული შეხვედრებისა და ვიზიტის ფარგლებში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში არ წარუდგენიათ.

“მივლინების” ქვემუხლით, ზოგიერთ თანამშრომელზე აპარატის მიერ ხშირად ისეთი ხარჯებიც დაფინანსებული, რომ-

ლებიც არაადეკვატურია სახელმწიფო დაწესებულების მიზნებთან. მაგალითად, აშშ-ში, გერმანიაში, ჩეხეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, მოლდოვასა და ბელგიაში, სპა-სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში მასაჟისტისთვის ბიუჯეტიდან 6200 ლარი გახარჯეს. მეტიც, სასტუმროს ქვითრების თანახმად, “სხვა ხარჯების” მუხლით, 4.700 ლარი დაიხარჯა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა ანაზღაურებულიყო. კერძოდ, 2012 წლის 10 მაისს, სახელმწიფო მინისტრის ბელგიაში მივლინებისას, ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ქალაქ ბრიუსელში, ბლანკესტრაატის ქ. 14-ში მდებარე მასაჟის დაწესებულება INTERDIT-ში (დაინტერესებული მკითხველი აღნიშნული დაწესებულების ფოტოების ნახვას ინტერნეტ-სივრცეში შეძლებს) გახარჯული 1.300 ლარი და 600 ლარი ფიგურირებს. იგივე დაწესებულებაში, 2011 წლის 25 ნოემბერს, სახელმწიფო მინისტრის მიერ სამივლინებო თანხებიდან გახარჯულია 200 ლარი და 300 ლარი. სახელმწიფო მინისტრის უკრაინის დელაქალაქ კიევიში მივლინებისას, 2012 წლის 4 თებერვალს, ღამის ბარ JUST CAFE-ში (თავს ვიკავებთ აღნიშნული ღამის ბარის ფოტოების გამოქვეყნებისგან) 1 900 ლარია გადახდილი, მათ შორის, ქვითრის მიხედვით, 4 გოგონას შეყვანის ღირებულება – 100 ლარი და 9 ცალი წითელი ვარდი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100 ლარი დაჯდა!

ჩვენი ინფორმაციით, სააუდიტო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით, შტატით მომუშავე თანამშრომლების უმეტესობაზე პრემიები ყოველთვი-

ურად გაცივმოდა. იყო შემთხვევები, როდესაც თვეში ერთზე მეტ პრემიას გაცემდნენ.

“2011 წელს, გაცემული პრემიების ხვედრითმა წილმა, “თლიანი ხარჯის” მუხლის – 44%, ხოლო თანამდებობრივი სარგოს 79% შეადგინა, საიდანაც დეკემბერში გაცემული პრემიების ხვედრითი წილი თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით – 124%, ხოლო შრომის ანაზღაურებასთან შედარებით – 55%-ია. აუდიტის პერიოდში, აპარატის ასიგნებებიდან, სახელმწიფო მინისტრებზე, საკუთარი ბრძანებების საფუძველზე, პრემიის სახით დარიცხული და გაცემულია 115 300 ლარი. აქედან, 2011 წლის 1 იანვრიდან, 2012 წლის 20 აგვისტომდე, დარიცხული და გაცემულია 92 700 ლარის პრემია; 2012 წლის 24 აგვისტოდან, 22 ოქტომბრამდე – 11 300 ლარის პრემია; 2012 წლის 25 ოქტომბრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით – 11 300 ლარის პრემია”, – წერს ჟურნალისტი.

საპ. 068.



მარტვილის რაიონის მღვიმეები და ჩანჩქერები, როგორც საინტერესო ტურისტულ-საეკოლოგიური მნიშვნელობის ობიექტები

კარგად იცნობ შენს მშობლიურ კუთხეს? (გთავაზობთ ნაწევრს ბატონების ფაუსტ ნადარაიას და ზურაბ ბიგვაგას წიგნიდან "მარტვილი")

საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან კარსტულ მასივებს შორის ასხის მასივის განსაკუთრებული ადგილი უკავია. ასხის მასივზე აღმოჩენილი და შესწავლილია ოთხმოცამდე სიღრმე.

მასივის ზედაპირი (ცენტრალურ ნაწილში) მოკლებულია პიროგრაფიულ ქსელს. პერიფერიულ ნაწილებში კი სხვადასხვა ჰიფსომეტრიულ სიმაღლეზე გამოედინებიან უხვდებუტეანი წყაროები. მღვიმეებიდან ფისკერზე გამოედინებიან მიწისქვეშა მინარები, რომლებიც ზედაპირზე დაკადულ ნაკადთა მთელ სისტემას ქმნიან.

ტობასა და რანხის ჩანჩქერები საქართველოს კარსტული ზოლის უდიდეს და უღამაზეს ჩანჩქერებს წარმოადგენენ. ტობას აუზში თორმეტი დიდი და პატარა მღვიმეა აღმოჩენილი, რომელთაგან უგრძესია ცნობილი ქართველი სპალეოლოგის ა. ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმე. მისი კეთილმოწყობა ტურისტულ-

საექსკურსიო მიზნით მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემს.

აღექსნადრე ოქროჯანაშვილის მღვიმის მახლობლად მდებარეობს ტობას პირველი მღვიმე, რომლის სიგრძე 700 მეტრია. მღვიმიდან გამოედინება მძლავრი მიწისქვეშა მინარე, რომელიც ზედაპირზე უღამაზეს ჩანჩქერს აწენს. მღვიმეში შესასვლელიდან 80 მეტრზე მიწისქვეშა ჩანჩქერია, რომელიც ჯერჯერობით უდიდესია ჩვენს ქვეყანაში.

ტობა-მღვიმის მიდამოებში მშვენიერი ტურისტულ-საექსკურსიო ობიექტია. ასხის მასივზე აღმოჩენილი და გამოკვლეული კარსტული მღვიმეები ბუნების საინტერესო ძეგლებია (იხილეთ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების ვ. ჯიშკარიანისა და ს. ბარანოვის შრომები).

ოფუცხორე - ასე ეწოდება მდინარე აბაშის ვიწრო კანონის სოფელ ინხურში. ეს ადგილი ბუნების პირველყოფილი სილამაზით ხიბლავს ადამიანს. დაღიანებს მეცხრამეტე საუკუნეში აქ გაუმართავთ წყლის წისქვილი, რომელიც დღესაც მოქმედებაშია. პიტალო კლდეების ვიწროებში მომავალი აბაშის წყალი აქ ქმნის ჭორბებსა და მცირე ჩანჩქერებს.

აქ მოწყობილი იყო სპეციალურად ჩანჩქერული ლიფტი, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად განადგურებულია.

მოთენა - ბუნებრივი გამოქვაბულია სოფელ გაჭედოში მდინარე აბაშის მარცხენა სანაპიროზე.

წახურუს მღვიმე-ნამოსახლარი - ბუნებრივი მღვიმეა სოფელ სალხინოში, რომელიც წახურის ხეობაში მდინარის მარცხენა სანაპიროზე პირველყოფილ ადამიანს საცხოვრისად გამოუყენებია, რასაც ადასტურებს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

გვიანდელ შუა საუკუნეებში გამოქვაბულის შესასვლელი გაღვივდა და გამოყენებულა და თავშესაფრად უქცევიათ. დამოუკიდებლობის ხშირად სტუმრობენ წახურუს მღვიმეს.

ღებარდვი - მარტვილიდან დაახლოებით 55 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ტეხურის მარცხენა შენაკადის, ლებარდვის უღამაზეს ხეობაში ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს კურორტი ლებარდვი. თავისი მაღალი მთის პაერთი და მინერალური წყლებით ეს კურორტი ეფექტურად მოქმედებს: სუნთქვის ორგანოებისა

და სასუნთქო გზების დაავადებებზე, საჭმლის მომწელებელი ორგანოების - კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლისა და საშარდე სისტემის ქრონიკული ანთების, ნერვულ დაავადებათა დროს.

დასვენების სეზონია ივნისი-ოქტომბერი. ლებარდვი უამრავი შენობა-ნაგებობა იდგა, რომელთა უმრავლესობა დღეს დანგრეულია, გადარცხულია ან საყალალო მდემარეობაში იმყოფება. ასევე საყალალო მდემარეობაშია ლებარდვიდ მისასვლელი გზა, რომელზედაც რამდენიმე ათეული წელია სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. უგზოობის პირობებში კი ინვესტიციების მოზიდვა და კურორტის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ საქმეს არა მხოლოდ მარტვილის, არამედ სამეგრელოს ყველა რაიონის ხელმძღვანელისაგან მეტი ყურადღება სჭირდება.

გზების შეკეთებისა და დასასვენებელი სახლების სათანადო კეთილმოწყობის შემდეგ ლებარდვი შეუძლია რამდენიმე ათას დამსვენებელს მოემსახუროს და საქართველოს ერთ-ერთი პირველხარისხოვანი კურორტი გახდება.

ტობაპარხილი - იგი

კარული ტობა. მდებარეობს ვერისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრის სიმაღლეზე. ტობაპარხილის წყალშემკრები აუზის ფართობია 1,12 კვადრატულ კილომეტრს უდრის, ტბის უღრმესი ადგილი კი 35 მეტრზეა. ტობაპარხილის ტბაში წყლის მოცულობაა 3,3 მილიონი კუბური მეტრია. ტბა უმთავრესად საზრდოობს ბუნებრივი ნალექების - თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ტობაპარხილის ტბა გამდინარეა. წყლის დონე ბევრად დაბალია ზამთარში, ივლისში კი ტბა ყველაზე წყალუხვია. აქაური წყალი მტკნარია, მაგრამ, გარკვეული ბუნებრივი მოვლენების გამო, მასში თევზი არ მოიპოვება.



ქართული ფულის კოლხური ფესვები



26 საუკუნე კოლხური თეთრიან ეროვნულ ვალუტად...

გადაწყვეტილი ქართული ფულის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი შემოგთავაზობთ.

როლანდ სანდერაშვილი (საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალისტი): მსოფლიოში პირველი მონეტა ქრისტეს წინარე VII საუკუნეში, მცირე აზიის სახელმწიფო ლიდიაში მოიჭრა. ამის შემდეგ, მალევე მოჭრა საკუთარი მონეტა საბერძნეთის ერთ-ერთმა კუნძულმა კოსამ. ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ჩვენმა სახელმწიფომაც მოჭრა პირველი მონეტა - კოლხური თეთრი. სწორედ აქედან იწყებს დასაბამს ქართული ფული, რომელსაც 26-საუკუნოვანი ისტორია აქვს და ერთ-ერთი პირველია მსოფლიო მონეტებს შორის. კოლხური თეთრი ვერცხლისგან იყო დამზადებული, ნომინალური სისტემით კი ბერძნული მონეტების თანაბარ, ანუ დრაქმის სისტემაში იყო მოჭრილი. შესაბამისად, კოლხური თეთრით ანგარიშსწორება სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ და მისი კონვერტიციაც თავისუფლად ხდებოდა.

პირველი ქართული მონეტის აღმოჩენის არგალი ვრცელდება: ნაპოვნია ათენში, ტრაპიზონში, ყირიმის ნახევარკუნძულზე. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ნიმუში საქართველოშია აღმოჩენილი, განსაკუთრებით ვანის განაშენი, სადაც ათასზე მეტ კოლხურ თეთრს მიაკვლიეს. უფრო მეტად მიმოქცევაში იყო კოლხური თეთრის მცირე ნომინალი - ნახევარდრაქმიანი, რომელზეც უძველესი ქართული კულტი - ხარი იყო გამოსახული. ოთხდრაქმიანზე გამოსახული იყო დადრეხილი ღომის თავი, რვეერსზე კი ფრთოსანი რაში. ამ მონეტის სულ სამი ორიგინალი არსებობს: ერთი ინახება პაავის მუზეუმში, მეორე ბრიტანეთის მუზეუმში და მესამე - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

რა მსყიდველობითი უნარი ჰქონდა პირველ ქართულ ფულს?

ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ანტიკური ბაზრის ფასები, რომლის თანახმად, ყველაზე ძვირი მონა ღირდა და მისი ფასი 50-60 დრაქმიდან იწყებოდა. ხარი 10 დრაქმა ღირდა, ამფორა ღვინო - 10-12 დრაქმა, ფეხსაცმელი 8 დრაქმა ღირდა, შავი შუის დიდი გასაბრჯელო კი 1

დრაქმა იყო. საკმაოდ ინტენსიურად იყო განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობები ბერძნულ სამყაროსთან შავი ზღვის მეშვეობით. ეს იმიტომ გამოიხატა, რომ ქართულმა ქალაქმა დიოსკურიამ ქრისტეს წინარე I საუკუნეში საკუთარი ფული გამოუშვა. ეს დიოსკურიის უძველესი სოხუმის საქალაქო მონეტები გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ის მცირე ნომინალებით, ანუ ხურდა ფულის ეკვივალენტით მოიჭრა, საკალაქო მონეტების არსებობა დიოსკურიის მაღალ ეკონომიკურ განვითარებაზე მეტყველებს. გარდა ამისა, საქართველოში მიმოქცეულა როგორც აღექსნადრე მაკედონელის ოქროს საფასეები, ასევე რომის იმპერიის მონეტები და პართიის სამეფოს ვერცხლის დრაქმები...

აღსანიშნავია დავითისა და თამარის პერიოდის ქართული მონეტები. ამ დროს ერთი ნომინალური გარემოება იკვეთება, რომელსაც ვერცხლის კრიზისი ჰქვია. საქართველოს მახლობლად მყოფი სახელმწიფოები, მცირე აზია და ბიზანტიის იმპერია ვერცხლის კრიზისმა მოიცვა. ჩვენც ამ სამყაროს ნაწილი ვიყავით და მიუხედავად ოქროს ხანისა, დავითიან რუსუდანამდე, საქართველოში ვერცხლის მონეტა არ მოჭრილა. X საუკუნის გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ისტორიიდან გამორჩეულია დავით IV აღმაშენებლის მონეტა, რომლის ორიგინალი ლონდონის მუზეუმშია დაცული. ამ მონეტაზე დავითი მთელი თავისი სამეფო დიდებით არის გამოსახული, ხოლო რვეერსზე წარწერაა: "მეფე აფხაზთა, ქართველთა, კანთა, კახთა და სომეხთა". ვერცხლის კრიზისმა და სპილენძის მონეტების ხანგრძლივმა მიმოქცევამ დასაბამი მისცა არაწესიერი ჭედვის მონეტებს.

სპილენძისგან მონეტების დამზადება ტექნოლოგიურად უფრო რთულია, ვიდრე ვერცხლისგან ჭედვა. არადა, ეკონომიკის გაძლიერებამ და ვაჭრობის განვითარებამ დიდი ფულის მასის მოჭრის საჭიროება წარმოშვა. ამან ფულის ფორმა დაუკარგა, თუმცა იმ დროს სპილენძის წესიერი ჭედვის მონეტებიც იჭრებოდა. არაწესიერი ჭედვის მონეტებს სწირად არ ჰქონდა ნომინალების აღმნიშვნელი წარწერები, თუმცა ვერცხლის ფულის, დიპკემის ღირებულებით იყო მოჭრილი. მაგალითად, თამარ მეფის დროს გამოშვებულ არაწესიერი ჭედვის მონეტაზე წარწერაა: "იქნა ჭედა ამის დირჰემისა".

დავით III კურაპალატის დროს მოჭრილი ვერცხლის მონეტის ავერსზე კითხულობთ: "ქრისტე შეიწყალებ დავით". რვეერსზე კი გამოსახულია ჯვარი და ქართული წარწერა: "აურაპალატი". ეს ერთ-ერთი იშვიათი ქართული მონეტაა, რომელიც ჩართული იყო საერთაშორისო მიმოქცევაში. სულ აღმოჩენილია ოთხი ცალი, ოთხივე სახლდარგაო. ერთ-ერთი ნაპოვნია 1859 წელს გერმანიის ქალაქ შვანთან, მეორე 1878 წელს სანქტ-

პეტერბურგში, მესამე - 1900-იან წლებში ესტონეთის ქალაქ ვილაში, მეოთხე კი შვედეთში. ეს მონეტა ადასტურებს X-XI საუკუნეებში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს ევროპის ქვეყნებთან.

ერეკლე II-ის პერიოდში სამონეტო საქმე ძალიან მაღალ დონეზე ავიდა. მეფემ საკუთარი საბალოები ამოქმედა, სადაც პონტიოლი ბერძნული ჩამოსახლა და ქართული ლითონის მონეტება დაიწყო. ვერცხლის თუ სპილენძის ყოველი მონეტა, რომელიც მის დროს იყო მოჭრილი, საქართველოს სამხრეთში, ბორჯაღის მხარეში მოპოვებული ლითონისგან არის ნაჭედი. ერეკლეს მონეტებზე გამოსახული იყო თევზი, როგორც უძველესი ქრისტიანული სიმბოლო, ასევე ბავრთიონთა იმდროინდელი სახელმწიფო გერბი. ერეკლე II-ის მეფობისას საქართველოში იჭრებოდა ხირმა აბაზები. საქართველოს გარდა, ეს მონეტები მიმოქცეულა აზერბაიჯანში, სომხეთში და დაღესტანშიც. მიუხედავად იმისა, რომ 1801 წლიდან საქართველოში რუსეთის იმპერიის მმართველობა დამყარდა, ერეკლე II დროს მოჭრილი მონეტები მიმოქცევაში XIX საუკუნის 30-იან წლებამდე დარჩა, რაც მისმა სანდობამ განაპირობა. დავით ბატონიშვილის სპილენძის მონეტის ავერსზე კი ფარშევანგია გამოსახული და თარიღი პიჯარით: 1215. რვეერსზე წარწერაა: "ტფილი-ისი". 1801 წელს, ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. წესით, გიორგი მეფის ვაჟი, დავითი უნდა გამეფებულიყო, მაგრამ რუსებმა არ დაანებეს. დავით ბატონიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მეფე არ ყოფილა, მოჭრა მონეტა, რომელიც უნშიათის ქართულ მონეტად ითვლება. ცნობილია მისი ერთადერთი ვეხემლარი. ეს მონეტა დაცულია ბერლინის მუზეუმში.

პირველი ქართული ქალაქის ბანკონეტები როდის შემოღობა მიმოქცევაში?

1918 წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოს რესპუბლიკამ საკუთარი ვალუტის შექმნაზე ფიქრი დაიწყო. ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ 1919 წელს დროებითი გადახდის საშუალება - ქართული ბონი დაბეჭდეს. ქართული ვალუტის ემისიის უფლება იმ დროს ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივა გახლდათ, ამიტომ ქართულ ბონებზე დატანილია დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრ კონსტანტინე კანდელაკისა და მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ფაქსიმილე. ქართულ ბონებზე გამოსახული იყო ქართული გერბი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლო. 1919 წლის 31 დეკემბერს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, ეროვნული

ბანკის სამართალმემკვიდრე, რომლის პირველი თავმჯდომარე გახლდათ ფინანსისტი და იურისტი იასონ ლორთქიფანიძე, ცნობილ მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ძმა.

ქართული სახელმწიფო მუშაობდა ეროვნული ვალუტის შექმნაზეც, სახელიც მოფიქრებული ჰქონდათ, მას მარჩილი უნდა დარქმეოდა. ცნობილი მხატვარი ევგენი ლანსხერე ხატავდა ერთ-ერთ ნომინალის ნიმუშს, რომელიც ეროვნულ მუზეუმშია დაცული, თუმცა ცნობილი მოვლენების გამო მარჩილის გამოშვება არ დასცადდა.

1995 წლის 2 ოქტომბერს მიმოქცევაში შემოღდა ქართული ეროვნული ვალუტა ლარი, რომლის ესკიზის შექმნაზე სახელმწიფო კომისია დაახლოებით ორ წელიწადს მუშაობდა. ფულის სახელწოდება ადებულა "ვეფხისტყაოსნიდან", როგორც ზოგადად, ქონების კრებითი სახელი. რაც შეეხება ხურდა ფულს, თეთრებს, ამ სახელით XI საუკუნის ქართულ ფულს, ვერცხლის მონეტებს მოიხსენიებდნენ.

კუპონებზე არაფერი ვთქვათ.

კუპონები დროებითი გადახდის საშუალება იყო და არა ეროვნული ვალუტა. რა თქმა უნდა, ისიც ჩვენი ფულის ისტორიის ნაწილია. კუპონი მიმოქცევაში 1993 წელს გამოჩნდა, ის ინვალისში დაბეჭდეს. 1994 წელს, როცა საქართველოში პიპერინფლაცია განვითარდა, სახელმწიფომ კუპონის მიღონიანი ბანკნოტიც კი მოჭრა. ლარის შემოღებისას სახელმწიფო კუპონი იყო 1 მილიონი კუპონი 1 ლართან. კუპონი მხოლოდ საქართველოს ფულის ისტორიის ნაწილი არ ყოფილა. მსგავსი ეტაპი ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ გამოიარა. მილიონიანი კუპონები ჰქონდა უკრაინას, ბელარუსსა და თითქმის ყველას სახელმწიფოს ყოფილი საბჭოთა სივრცეიდან.

მეღებულობის მიუხედავად, ქართული სახელმწიფო მუდმივად ჭრიდა ფულს. მაშინაც კი, როცა ქვეყანას დროებითი მმართველები მართავდნენ, თბილისში ამა თუ იმ დამპყრობლის მიერ სხვადასხვა ფულის ქართული ნაირსახეობა მაინც იჭრებოდა. მაგალითად, ირანული და მონღოლური მონეტების ქართული ასლები, რომელსაც დატანილი ჰქონდა წარწერა, რომ ის თბილისში იყო მოჭრილი. უფრო მეტიც, ზოგჯერ ქართველი მეფეები ამ მონეტებზე რელიგიურ სიმბოლოებს, ჯვრებს სახავდნენ. ცნობილია, რომ თბილისში პირველი მონეტა არაბებმა მოჭრეს. 1804 წელს კი რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში თბილისში ზარაფხანა გაიხსნა, სადაც ქართულ-რუსული, ე.წ. გარდამავალი პერიოდის ფული იჭრებოდა. უფრო ძველი ზარაფხანის ადგილი კი ჯერაც არ არის მიკვლეული. თბილისის გარდა ზარაფხანები არსებობდა დმანისში, ახალციხეში და კიდევ რამდენიმე დიდ ქალაქში.

“არსენალი” 18 წლის ზურაში მილიონს იხდიდა, აქედან კი 7 თუ 8 მილიონი მოითხოვს”



1981 წლის 13 მაისი ქართული ფეხბურთის მწვერვალია. ამ დღეს თბილისის “დინამო” თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. იმ გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედელი ნოდარ ხიზანიშვილიც გახლდათ. თბილისის “დინამოში” ის 1973 წელს, ბათუმის “დინამოდან” გადაიყვანეს. ლეგენდარული ქართული კლუბის მაისურით ნოდარ ხიზანიშვილი 1982 წლამდე თამაშობდა. ერთი მატჩი მან საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაშიც ჩაატარა – 1982 წლის 14 აპრილს, არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. კარიერა კი 1983 წელს, ქუთაისის “ტორპედოში” დაასრულა...

– ჩემი წინაპრები გომარეთიდან (ქართლი) არიან. მშობლები კი ლოტკინზე ცხოვრობდნენ. ბავშვობაში, ჩემს დას სუნთქვა უჭირდა და კლიმატის გამო, ექიმმა მშობლებს საცხოვრებლად აჭარაში გადასვლა ურჩია. ასე აღმოჩნდა 8 წლის ლოტკინელი ბიჭი ჩაქეში. არადა, ცნობარებში არასწორად წერია, თითქოს ბათუმში დავიბადე აჭარაში 1961-დან 1973 წლამდე ვცხოვრობდი. მთელი ბავშვობა იქ გაატარე. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ვიყავი, თამაშში რომ დავიწყო – ალბათ, 13 წლის მაინც. ცნობილი მწვრთნელთან, ლერი ვერულიძესთან მივედი. იქიდან მოვხვდი საბჭოთა კავშირის 16-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე, სადაც ოლეგ ბლოხინი თამაშობდა. ქართველებიდან ვიყავით მე, მეკარე ზაზა კახაძე, ქუთაისელი ბადრი ფარულავა და რუსთაველი ოლეგ ბერულავა.

– დიდ ფეხბურთში როგორ მოხვდით? – ბათუმის “დინამოში” 18 წლისა მივედი და თავიდანვე ძირითადი დამაყენეს. 20 წლის გახლდით, როცა გავიერე კანალინა თვალის დამაღება. თბილისის “დინამო” ბათუმში შემადგენლობაში ჩაგვტარეს. ტრავმის გამო არ მათამაშეს და კანალინის უქონლობა – რა ხდება, ხიზანიშვილს მიმალავთ? არა, რას გიმალავთ, товар на месте-ო, უთქვამთ (იცინის).

მეორე დღეს ვარჯიშზე მივედი და

მოთხრა, ახლა ტაივანში მივდივართ და ბიჭებს აქედანვე შეგეგუო...

მაგრამ, სიმართლე ვითხრათ, იმდენად ვიყავი ბათუმში, მეგობრებსა და ჩემს პატარა სამყაროს შენეველი, ეს ამბავი არ გამხარებია... დამირეკეს, თბილისში ჩამოდიო, მაგრამ მაინც ბათუმში დავბრუნდი.

– რატომ?! – ლამის ყველა მცველი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ან კანდიდატი მაინც იყო და ვიფიქრე, აქ თამაშის შანსი არ მაქვს-მეთქი. ბათუმში, ვარჯიშზე მისულს, სპორტსაზოგადოება “დინამოს” თავმჯდომარე ურუშაძე შემხვდა და გაოცებულმა მკითხა – აქ რა გინდაო? ვუთხარი, არ მინდა “დინამოში” თამაში-მეთქი.

მაიძულა, თბილისში წავსულიყავი, მომხსნიან, უკან გაბრუნდით. სხვა რა გზა მქონდა? “დინამო” ლესელიძეში ემხადებოდა, კანალინის უკვე მოხსნილი იყო, მთავარი მწვრთნელი კი ალიოშა კოტრიკაძე გახლდათ...

– ცნობილია, რომ თასების მფლობელთა თასის ფინალი შემთხვევის წყალობით ითამაშეთ...

– დიას, ხინვალიშვილმა “ფეინორდთან” ყვეთული ბარათი მიიღო და ახალკაცმა მე დამაყენა. მანამდე, ტრავმებმა საკმაოდ გამაწვავა. 1979 წელს მენისკის ოპერაცია გავიკეთე და სეზონი დაკარგე.

მერე, მოსკოვის “ლოკომოტივთან” შესვენებისას, ჩვენი მეკარე დათო გოგია შემთხვევით შემეჯახა და ბეწვზე გადავრჩი. უკრაინელ ოლეგ გუსევის რომ მოუვიდა და ჯაბა კანკავამ გადაარჩინა, დაახლოებით ასეთი ამბავი იყო. მაგრამ მე უარესი მომივიდა.

გაზავეი მომდევნა, ბურთს თავით მშვიდად ვიგერიებდი, როცა საშინელი ტკივილი ვიგრძენი. თურმე, დათო კარიდან დაყვირების გარეშე გამოვიდა და სახეში მუხლი მომარტყა. იცით, რა ნახტომი ჰქონდა? მე რომ ბურთს თავით ვიგერიებდი, გოგია იქამდე მუხლით ახტა.

– საბჭოთა კავშირის ნაკრებში კი მხოლოდ ერთხელ ითამაშეთ...

– ერთხელ და ისიც მარადონას წინააღმდეგ. თამაში 1:1 დასრულდა. დანიელ პასარელამ ნეკნები ჩამიტეხა და მსოფლიოს ჩემპიონატამდე ვერ მოვრჩი. ცხადია, ნაკრებშიც ვეღარ მოვხვდი. არადა, მწვრთნელები კარგი თვალით მიყურებდნენ...

– “დინამოდან” გაშვება მტკივნეული იყო?

– სხვათა შორის, სანამ ახალკაცი მეტყოდა, მე ვუთხარი – მივდივარ გუნდიდან-მეთქი. შევნიშნე, ეყვინა, რომ დავასწარი. გუცავეი ერთადერთია, ვინც თქვა, რომ 1983 წლის დასაწყისში ახალკაცი შეცდა, “დინამოდან” 13 მოთამაშე რომ გაუშვა. “დინამოდან” წავსვლამდე, თბილისში უყვას

თასზე “ნაპოლის” 2:1 რომ მოვუგეთ, ანგარიში მე გავხსენი. თუმცა ბევრი გოლი არ გამიტანია...

– მართალია, თითქოს კახა კალაძე “სამტრედიიდან” თქვენ გაუშვეთ?

– მე ნამდვილად არ გამიშვია. საქმე სხვაგვარად იყო. კლუბმა ტარიელ ჩანჭა რომ აიყვანა, მწვრთნელად მიმიწვია და ჩემპიონობა მომთხოვა. გამოსცდილი მოთამაშეები წავიყვანე, სხვაგვარად, მიზანს ვერ მივადევნებდი.

კახას მანამდეც ვიცნობდი. თბილისის “თბილისში” მე და გაიოხ დარსაძე ერთად ვმუშაობდით და იქ თამაშობდა – გუნდში გვეყავა რამაზ შენგელიას ვაჟი – გიორგი, რატი ალექსიძე, შოთა ჩომახიძე, გიორგი გაბელია... მერე კახა ასაკობრივ ნაკრებშიც მივიწვიეთ და ვიცოდი, რომ ნიჭიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ “სამტრედიას” ჩემპიონობა სურდა, კალაძეს შეცვლაზე ხშირად ვათამაშებდი.

– რამდენჯერმე წამიკითხავს, მწვრთნელმა (ანუ თქვენ) ფორმა არ მისცათ...

– 16 ფორმა ჩამოიტანეს და 30 წლის გამოსცდილ მოთამაშეებს დაურიგეს. ფიზიკურად აღარ იყო, თორემ დავემალავდი? თანაც, ფორმას მე არ ვარიგებდი. სიმ გეუბნებით, კახა მომწონდა და მის დაწინაურებას ვცდილობდი. სხვაგვარად, 15 წლის ბიჭს როგორ ვათამაშებდი, როცა თითოეულ მატჩს ჩვენთვის ოქროს ფასი ჰქონდა? მერე ხშირად მიკითხავს ზურასთვის – როგორ არის კახა შენთან-მეთქი და ძიები ვართო.

– თქვენი სიტყვები გაისხენეს, ამისგან ფეხბურთელი არ დადგება...

– როგორ გეკადრებთ?! ბიჭებთან ხშირად ვამბობდი, რომ მწვრთნელის მოყვარულების მაგალითი იყო, ეს ბევრს მიაღწევს-მეთქი. მაგრამ “დინამოში”, “გურიაში”, “ტორპედოში” და “მრეკებში” ნათამაშები ფეხბურთელები გვეყავა და, ცხადია, ძირითადში 15 წლის ბიჭის დაყენება მაშინ ნაადრევი იყო. მერე მამამისმა “დინამოს” დუბლებში წაიყვანა, თორემ გუნდიდან ნამდვილად არ გამიგდია.

– მას შემდეგ კახა გინახავთ?

– როგორ არ ვნახე?! გადამხვია. საწყენია, თუ ის ამბავი ასე მიუჩანეს...

– ახლა რას საქმიანობთ?

– არაფერს, ფეხბურთისკენ გული აღარ მიმიწვეს. თამაშების ყურებაზე გული მტკივა. ზურა ფეხბურთელია, გია – მწვრთნელი და ესეც საქმარისია. 4 შვილი და 10 შვილიშვილი მყავს. ახლა ვემუშაობ მაშად, ბაბუად და შვილიშვილების ძიად! ამასზე უკეთესი სამუშაო ვის გამოუგონია?

– ამდენი შვილი თქვენს თაობაში ვინმეს თუ ჰყავს?

– არა, მე რეკორდსმენი ვარ.

– გამიგია, რომ თქვენი უფროსი ვაჟი – გია, ზურაზე არანაკლებ ნიჭიერი ყოფილა. ფეხბურთს რატომ დაანება თავი?

– მართლაც ზურაზე ნიჭიერი იყო, მაგრამ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და თავი დაანება. მერე კი ზურამ მაგრად “ამოქანა” – მე მგონი, ფეხბურთის სიყვარულის ხარჯზე. ფეხბურთზე აბოლებდა. თანაც, ძალიან დამჯერი იყო, მწვრთნელებს უსმენდა.

– ახლა ნაკრებში პირველ მემამბოხედ იცნობენ...

– გაანჩია, ვინ იცნობს ასე.

– ალბათ, თქვენთვის ქვეპიასთან მისი კონფლიქტი მტკივნეული თემაა...

– რა თქმა უნდა?! თემური საყვარელი ბიჭი იყო, პატარაობიდან ვიცნობდი. მაგრამ რაც იყო, იყო. ამ ამბის შემდეგ არც მი-ნახავს.


– ზურას თუ ურჩიეთ, რომ ვითარების გამწვავებას მორიდებოდა?

– ზურა პატარა ბიჭი აღარ არის. უკვე აუტანელი სიტუაცია იყო და ეს არა ეპიზოდური კონფლიქტის, არამედ სისტემატურ ხასიათს იღებდა. თორემ, დამიჯერეთ, ზურა ნიჭურა და კონფლიქტებს ბავშვობიდან ვერ იტანს და ცდილობს, ყველაფერი სიტყვით მოაგვაროს. ეტყობა, არ გამოვიდა და კაცმა მოთმინება დაკარგა.

– დამეთანხმებით, მას გაცილებით დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა...

– თუ გახსოვთ, 18 წლისას არსენ ვენგერი “არსენალში” იყვედა და ზოგიერთები ცუდად რომ არ ჩარეულიყვნენ, დიდ ფეხბურთს მართლაც ითამაშებდა. ვინ ჩაერია, ამის გასვენება აღარ მინდა, მაგრამ ფაქტია – “არსენალი” 18 წლის ბიჭში მილიონს იხდიდა, აქედან კი 7 თუ 8 მილიონი მოითხოვეს და ინგლისელები ვაგი-ჯდნენ. ამხელა ფულს მაშინ ვარსკვლავებში არ იხდიდნენ. ვალს ავიღებდი და იქით მივცემდი, ოღონდ ვენგერს წავეყვანა. მერე ვენგერმა მომწერა მე, როგორც მოთამაშის მამას – ლაპარაკი მორჩა, აღარ ვართ დაინტერესებული, რადგან ამხელა თანხა მოითხოვეს. მუხლის ტრავმამაც ძალიან უკან დახია. ოპერაციის შემდეგ პლასტიკურად ჩაუდგეს და ბუნებრივი აღარაფერი დარჩა. უჭირს ვარჯიში, უხეშ საფარზე მუხლი უსივდება და სტეკია. ისიც მიკვირს, რომ საერთოდ თამაშობს, თორემ ვარჯიში ეზარებაო, ამის თქმა სირცხვილია. დამე რომ გააღვიძო, ფორმას ულაპარაკოდ ჩაიცვამს და საფარჯიშოდ წავა. ასე ითამაშა “რეინჯერსში”, “ბლეკბერნში”... მაგრამ ქრონიკულმა ტკივილებმა გააწვავა. გული მტკიოდა, როცა ამბობდნენ – ნაკრებში უგულოდ თამაშობდაო. მე ხომ ვიცოდი, რომ ამ დროს ფეხი საშინლად სტეკოდა?! იმასაც ამბობენ, ფული ისედაც აქვს და ნაკრებში პრემია რა ნამუსით მოითხოვო. ჯერ ერთი, ნაკრებში აღებული აბსოლუტურად ყველა პრემია ბავშვთა სახლში აქვს ჩარიცხული და მეორეც – პრემია ახალგაზრდებისთვის მოითხოვა და არა საკუთარი თავისთვის.

გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარბმანის მეორე ტომი



გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მხე-ჯიშო”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დიდის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

ვილოცვა

დიდი სამამულო ომის დაწყების დღეებთან დაკავშირებით წინასწარ გულოცავთ 92 წლის იუბილეს შესანიშნავ მოქალაქეს, სანიმუშო შრომითი ბიოგრაფიის მქონე ადამიანს, კაცს, რომელიც ომისაგან “სამახსოვროდ” დღესაც სხეულით დაატარებს შრატანელის ნამსხვრევებს!

ბატონო სეგარიონ, გისურვებთ შესაშურ ჯანმრთელობას და დღევრძელობას, რათა კიდევ მრავალ წელს მისცეთ შრომისა და ბრძოლის შთამბეჭდავი მაგალითი ჩვენს ახალგაზრდობას!

პატივისცემით, ჯუმბერ კობახიძე, როლანდ ჯალაღანიძე

სახალხო მხარეადა მოუპოო მოი ჯარ კილან მილაპარ ნასიონალურ ფარაპოპოაფიას, როპალიხ მის დაქიკრავს მხილოზა და კვლავ ჩაღაბ

სალხის ჯანმრთელოზის სასახარაში

ლომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათევისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფლობას, კოლტიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთეზას, ნეფროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეკურანეს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შეგლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ც-ჰეპატიტს, ნადვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეკურნალის კოორდინატეპია: თილაზი, სოფელი შალაპში, ბაზნიძე ბიჭიძე (ლომინტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულეპი მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, სარ.პ.პ. №01018002930, 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტის რედაქციას უნდა გაეკზავნოს ელ-ფოსტით (ან ლახერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანიძე

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყაშვილი

გაზეთის მხეჯიშო: ზურაბ ტობალაძე 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თინათინ კუპალაშვილი, ზვიად მირზაბაძე, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ “ილორი” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე

WWW.saqinform.ge